# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 13 თებერვალი, 2010 წელი.

№28 (6394)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

## ქართველი „მოღალატეების“ რიცხვი იზრდება



3

გიგი უგულავას და „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგს მხოლოდ ერთი ფაქტორი განაპირობებს: მიხეილ სააკაშვილსა და მის გარემოცვას საზოგადოების დაშინება და დატერორება ჯერ კიდევ შეუძლიათ. ეს ასე აღარ იქნება. პირადად მე არ დავუშვებ, რომ ადამიანებს საკუთარი მოსაზრებებისა და პოლიტიკური დამოკიდებულებების გამოხატვის ეშინოდეთ.

## სააკაშვილმა თავის საქმეებზე სასამართლოში უნდა აგოს პასუხი

5



## ქეით ჩვენი ოჯახის თანხები და აქტივები მოიპარა!

3

ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის განცხადება



2

რობერტ სტურუა:

## ომს იგებენ ხელისუფალნი და აგებენ ადამიანები

4

## „პატარა ომის“ ექო



ინფორმაცია

## როზერტ სტურუა: ომს იგებენ ხელისუფალნი და აგებენ ადამიანები



შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა მოსკოვში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდა.

სტურუამ დისკუსიაში „გულწრფელი საუბრები“ მიიღო მონაწილეობა და მოსკოვში მცხოვრები ქართველებისა და რუსი ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა.

ჟურნალისტის კითხვაზე, რას ფიქრობს იგი რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომზე, რობერტ სტურუამ ბერტოლდ ბრეხტის ცნობილი ფრაზით უპასუხა: „ომს იგებენ ხელისუფალნი და აგებენ ადამიანები“.

აღსანიშნავია, რომ შეხვედრაში მოსკოვში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენი მიხეილ ხუბუტიაც მონაწილეობდა.

## ოლიმპიადა უსააკაშვილოდ არ გაიხსნებოდა?

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ორდღიანი ვიზიტით კანადაში იმყოფება.

როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში განაცხადეს, ქვეყნის პირველ პირთან ერთად ოტავას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძე და კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრიც სტუმრობენ.

ვიზიტის ფარგლებში მიხეილ სააკაშვილი კანადის ზამთრის სპორტულ ობიექტებს დაათვალიერებს და აჭარაში ზამთრის კურორტების მოსაწყობად კანადელების გამოცდილებას გაიზიარებს.

## ოკუპანტები კვლავ განაგრძობენ ქართველებზე ნადირობას

გუშინ რუსმა ოკუპანტებმა საქართველოს 70-მდე მოქალაქე დააკავეს.

ისინი გუშინ დილით ზუგდიდში ცდილობდნენ გადასვლას. რუსმა ოკუპანტებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს, რის შემდეგაც 4 მიკროავტობუსსა და სამ ავტობუსში მსხდომი მგზავრები გაქარცვეს და გალის მიმართულებით წაიყვანეს.

გალში რჩება ორი დღის წინ დაკავებული 16 ქართველიც. ოკუპანტები დაკავებულების გათავისუფლების სანაცვლოდ მათი ოჯახებიდან 5 ათას რუბლს ითხოვენ.

## საშიშია თუ არა ზემო ლარსის სასაზღვრო პუნქტის გახსნა?

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური რუსეთის მიერ პირველ მარტს დაგეგმილ ზემო ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნაში საშიშროებას ვერ ხედავს.

ქვეყნის მთავრობის ხელმძღვანელის პოზიცია გუშინ გამართულ ბრიფინგზე ჟურნალისტებს პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის უფროსმა ნიკო მჭედლიშვილმა გააცნო.

—პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური ვერ ხედავს რაიმე საშიშროებას ამ სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნაში და მიაჩნია, რომ რეგიონის მოსახლეობის ეკონომკურ მდგომარეობას ამ პუნქტის გახსნა დადებითად წაადგება, — განაცხადა მჭედლიშვილმა, თუმცა აქვე განმარტა, რომ საქართველოს მთავრობა ამ პუნქტის გახსნის შედეგად განსაკუთრებულ ეკონომიკურ სარგებელს არ ელის.

ჯი-ეიჩ-ენი

პრეზენტაცია

# ქრისტიან-დემოკრატების მასშტაბური იუბილე ფილარმონიაში

**ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა, რომლის წევრთა უმრავლესობას ჩვენი კოლეგა ჟურნალისტები შეადგენენ, ხოლო გიორგი თარგამაძე, ასევე ცნობილი და წარმატებული ჟურნალისტი ლიდერობს, უკვე 2 წლის გახდა.** ყველამ იცის, რომ 2007 წლის ცნობილი ნოემბრის შემდეგ, „იმედის“ ჟურნალისტთა ნაწილმა პოლიტიკაში გადანაცვლება გადაწყვიტა, ხელისუფლების წინააღმდეგ უფრო ეფექტიანად საბრძოლველად და ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა ჩამოაყალიბა. ამ ახალმა პოლიტიკურმა





პარტიამ სულ მცირე დროში ფეხზე დადგომაც მოახერხა, აქციების ორგანიზებაც, შემდეგ პარლამენტში საკმაოდ მაღალი პროცენტული მაჩვენებლით მოხვედრა და იქ ფრაქციისა და საპარლამენტო უმცირესობის შექმნა. მათ, აქციებზე მდგომი სხვა თანამებრძოლებისგან განსხვავებით, ბედისგან თუ ხელისუფლებისგან შემოთავაზებულ საპარლამენტო მანდატებზე უარი არ უთქვამთ. დღეს, კი როცა საკმაო დრო გავიდა და ქრისტიან-დემოკრატებს ხელისუფლების სატელიტ პარტიადაც მოიხსენიებენ, ისინი პარლამენტში შესვლას მაინც სწორ ნაბიჯად თვლიან, რადგან „მხოლოდ დემოკრატიულად, კონსტიტუციის სრული დაცვით და მშვიდობიანად უნდა შეიცვალოს მთავრობა“.

კარს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მოგვადგა, ოპოზიციამ გაერთიანება ვერ შეძლო და თბილისის მერობის თითო-თითო კანდიდატი წამოაყენა, ქრისტიან-დემოკრატები პრაიმერის იდეას არც ეთანხმებოდნენ, ამიტომ საეჭვო იყო, ერთი კანდიდატისთვის დაეჭირათ მხარი. არც ისე დიდი ხნის წინათ, ცნობილი გახდა, ვინ იქნებოდა მათი კანდიდატი მერობის პოსტზე. ეს ადამიანი ცნობილი ბიზნესმენი, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის შექმნის ერთ-ერთი განმახორციელებელი გია ჭანტურიაა, რომლის ოფიციალურ კანდიდატად წარდგენა, გუშინ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის 2 წლის იუბილეზე მოხდა. როგორც გიორგი თარგამაძემ მისი წარდგენისას განაცხადა, ღირსეულ ქალაქს ღირსეული მერი სჭირდება, მათთვის კი ასეთი გია ჭანტურიაა.

მერობის კანდიდატის წარდგენამდე, პარტიის ლიდერმა 2 წლის განმავლობაში განვლილი გზა შეაფასა.

— ორი წლის წინათ, ზუსტად 8 თებერვალს, ქართული პოლიტიკის მღვრიე და ბობოქარ ზღვაში გემი შემოვაცურეთ და ამ ხნის განმავლობაში მისი საჭე არც ერთხელ, ერთი წამითაც არ მიგვიტოვებია. ჩვენ ზუსტად ვიცოდით და ვიცით საით მივდივართ. ეს არის სვლა დემოკრატიზაციისკენ, სტაბილურობისკენ, წარმატებისკენ. დღეს, როცა ბევრს საუბრობენ „ქვეყნის მოღალატეებზე“, ავიწყდებათ ნამდვილი მოღალატეები, რომლებიც ასევე შეიძლება ხელისუფლების რიგებში იმალებოდნენ და საჭირო დროს ოპოზიციად მოგვევლინონ.

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა ემყარება სამ ძირითად და უმთავრეს პრინციპს: ცოდნას, შრომასა და რწმენას. ჩვენ მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძვით. მთავარია, იცოდე შენი დანიშნულების ნავსადგური და ზურგის ქარიც გიწყობდეს ხელს. უნდა მოვახერხოთ ყველა ბერკეტის გამოყენება, რადგან მალე შევძლოთ არსებული ხელისუფლების მშვიდობიანად ჩანაცვლება.

პარტიის იუბილეზე შეკრებილ საზოგადოებას, მათ შორის დიპლომატიურ კორპუსს მერობის კანდიდატმა გია ჭანტურიამ მიმართა: — თბილისი არის საქართველოს ინტელექტუალური და სულიერი ცენტრი. დღეს კი მას ძალიან უჭირს და ჩვენი დახმარება სჭირდება. ჩვენ არ გვაქვს ადვილი ყოფა, ყოველ კუთხეში გაჭირვება და უბედურება ტრიალებს. ჩემი მთავარი მიზანი და დევიზი იქნება მოსახლეობის დასაქმება და დაბალი ტარიფები. საქართველო წყლის ქვეყანაა, ამიტომ წყალი უფასო, ენერგომატარებლებზე კი დაბალი გადასახადებია: გაზი — 7 თ; ელექტროენერგია — 4-5 თ. სანამ თბილისში ერთი გაჭირვებული ოჯახი მაინც ცხოვრობს, ჩვენი ბრძოლა გაგრძელდება.

როგორც ჩანს, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა წინასაარჩევნოდ აქცენტს სოციალურ პრობლემებზე გააკეთებს და ამით ეცდება ამომრჩევლის მხარდაჭერის მოპოვებას.

**ანა წიწილაშვილი**

განცხადება

# მოითხოვეს ცოტნე გამსახურდიას გათავისუფლება



**„9 აპრილის“ საზოგადოებამ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ვაჟის ცოტნე გამსახურდიას საქმესთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა.**

„მივმართავთ ყველა თანამემამულეს, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მოქმედ ჟურნალისტებს, მხარდაჭერა გამოვუცხადოთ ცოტნე გამსახურდიას მიმართ უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში. გამოძიება ვერ ამტკიცებს ბრალეულობას და სასამართლო პროცესი არ იმართება. ამიტომ მოვითხოვთ ცოტნეს გათავისუფლებას . უკვე ორმოცდათერთმეტი დღეა რაც ცოტნე შიმშილობს. ექიმები გვაფრთხილებენ, რომ მისი ჯანმრთელობა მეტისმეტად გაუარესდა და სიცოცხლე საფრთხეშია.

თხოვნით მივმართავთ უწმინდესსა და უნეტარესს, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია ||, როგორც ერის სულიერ მამას, სთხოვოს მას შიმშილობის შეწყვეტა“, — განაცხადა საზოგადოების თავმჯდომარემ თამაზ ბიბილურმა.

9 აპრილის საზოგადოებამ თხოვნით მიმართა სახალხო დამცველს გიორგი ტუღუშსა და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეს ლევან გახელაძეს, რათა მათ მეტი დაინტერესება გამოიჩინონ ცოტნე გამსახურდიას მიმართ.

**თინათინ ბორცვაძე**

აქცია

# მხარდაჭერა — უკანონო პატიმრებს!

**გუშინ თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე, ბიზნესცენტრ „კალასში“ ახალი საზოგადოებრივი კამპანიის პრეზენტაცია გაიმართა საქართველოში მოქმედი არასამთავრობო, უფლებადამცველ ორგანიზაციათა და საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით. კამპანიის მიზანია სასამართლოს დამოუკიდებლობისა და უკანონო პატიმრების განთავისუფლების მიღწევა.**

„დღეს უკანონო და პოლიტპატიმრების რიცხვმა იმატა. შესაძლოა ზოგიერთმა მართლაც ჩაიდინეს დანაშაული, მაგრამ სასჯელი აქვთ სრულიად არაბუნებრივად მკაცრი. ამიტომ საზოგადოების მხრიდან სოლიდარობას იმსახურებენ.

აქციაში „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ მონაწილეობა შეუძლიათ არ მარტო ქვეყნის მოქალაქეებს, არამედ, ყველას, ვისაც ამის სურვილი ექნება, მათ საშუალება მიეცემათ ადამიანის უფლებათა და პატიმრების დაცვისა, — მოუწოდა შეკრებილებს პოლიტოლოგმა სოსო ცისკარიშვილმა.

სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ბევრია ადამიანი, ვისაც უკანონოდ ჩამოართვეს ქონება, უკანონოდ არის დაპატიმრებული! საჭიროა მათ დასაცავად ხმა ამოვიღოთ! — განაცხადა მსახიობმა ოთარ მეღვინეთუხუცესმა.

კამპანიის კონკრეტული მოქმედების გეგმა რამდენიმე დღეში გამოცხადდება.

**ეკა მაშიაშვილი**

რეალობა ასეთია...

# ქართველი „მოღალატეების“ რიცხვი იზრდება

**მოძრაობის „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი აცხადებს, რომ „ქართული პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი რუსეთთან ახლო ურთიერთობისთვის მზად არის“. საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი ოპონენტი მიიჩნევს, რომ რუსეთის მმართველ პარტიასთან „ედინნაია როსიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების პოზიტიურ შედეგებს საზოგადოება მალე იგრძნობს და პრეზიდენტ სააკაშვილს მიმდინარე წლის გაზაფხულზე პოლიტიკურ დასასრულს უწინასწარმეტყველებს. ამ და სხვა საკითხებზე „პირველი“ ზურაბ ნოღაიდელს ესაუბრა.**

**— რისი იმედი აქვს ზურაბ ნოღაიდელს, რას ელოდება თქვენი გუნდი „ედინნაია როსიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შედეგად?**

— ჩვენს მოძრაობასა და „ედინნაია როსიას“ შორის ისტორიული ხელშეკრულება გაფორმდა. დოკუმენტი შინაარსით უახლოეს მომავალში შეივსება და კონკრეტული ღონისძიებებიც დაიგეგმება. რუსეთის მმართველ გუნდთან თანამშრომლობის შედეგს ქართული საზოგადოება მალე იგრძნობს. „ჩარჩომ“ უკვე გაამართლა: სწორედ ჩვენი თანამშრომლობის შედეგად მოვახერხეთ და ცხინვალის ციხიდან ქართველი ბავშვები გამოვიყვანეთ. შუამავლობა ჩვენსა და კოკოითს შორის სწორედ „ედინნაია როსიამ“ იკისრა. სამივე მოზარდი ახალ წელს და შობას საკუთარ სახლებში შეხვდა. მოვახერხეთ ისიც, რომ საახალწლოდ რუსეთ-საქართველოს მიმართულებით სამი ჩარტერული რეისი შესრულდა. ეს ყველაფერი ქართულმა საზოგადოებამ კარგად იცის. „ედინნაია როსიასთან“ უკვე ოფიციალური ურთიერთთანამშრომლობის შედეგებს ქართველი ერი მალე იგრძნობს, თუმცა ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ამ ეტაპზე, როცა ოპოზიციაში ვართ, ეს შედეგები მასშტაბური ვერ იქნება. ეს ისტორიული დოკუმენტი სამომავლოდ საქართველო-რუსეთის ურთიერთობების აღდგენას ჩაუყრის საფუძველს. საქართველომ უნდა დაიბრუნოს გაერთიანების შანსი, — ეს ჩვენი მთავარი ამოცანაა. ცხადია, ჩვენმა პარტნიორებმა იციან ჩვენი პოლიტიკური სურვილებისა და მიზნების შესახებ. მოლაპარაკებები ყოველგვარი წინაპირობების გარეშე დავიწყეთ და ეს სწორი გზაა. ყველას კარგად ესმის, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის არის მტრობა, საქართველოს მოსახლეობას კი არსებული ვითარების შეცვლა სურს და ჩვენ ადამიანების აღნიშნულ მოთხოვნას ვასრულებთ. მჯერა, რომ საქართველო დაიბრუნებს გამთლიანებისა და გაერთიანების შანსს. ჩვენ დავბრუნდებით რუსეთის ბაზარზე, რათა ჩვენი პროდუქცია ძველებურად გაიყიდოს, გლეხმა უფრო მეტი შემოსავალი მიიღოს და საქართველოს ეკონომიკა განვითარდეს. რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის გამთლიანებას, ამაზე ჩვენ „ედინნაია როსიას“ კი არა, ოსებსა და აფხაზებს უნდა ვესაუბროთ, — საქართველოს გამთლიანება მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი. ჩვენ უნდა დავბრუნდეთ აფხაზი და ოსი ხალხის გულებში. თუმცა დავუშვათ, დავიწყეთ მოლაპარაკებები სოხუმთან და ცხინვალთან... წარმატების იმედი იქამდე არ უნდა გვქონდეს, სანამ ქართული მხარე რუსეთთან კონფრონტაციულ მიდგომებს არ შეცვლის. რუსეთთან დაპირისპირებას საქართველოსთვის კარგი არაფერი მოუტანია, კონფლიქტმა ეს ქვეყანა დაანგრია და დაშალა. ყველანი გონს უნდა მოვეგოთ და გვახსოვდეს, რომ ჩვენი მთავარი საზრუნავი ჩვენი ქვეყანაა.



**— პოლიტიკური სპექტრისა და საზოგადოების წარმომადგენლები ხშირად ეროვნული ღირებულებების ღალატში გადანაშაულებენ და მოღალატეს გიწოდებენ. ეს ყველაფერი ადამიანურ უხერხულობას მაინც არ გიქმნით?**

— მოღალატედ მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის მიერ დაქირავებული ადამიანები მომიხსენიებენ. ჩემს წინააღმდეგ აგორებულ ბინძურ კამპანიას სააკაშვილის დაკვეთით აწარმოებენ. სამწუხაროა, რომ ამ კამპანიაში სტუდენტებიც ჩაითრიეს. აქციები თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში გაიმართა. მერწმუნეთ, იმ ახალგაზრდების უმეტესობა აზრზეც არ იყო, როდის გავაფორმე ხელშეკრულება „ედინნაია როსიასთან“ და არც ის იცოდნენ, თუ რა მნიშვნელობის დოკუმენტთან გვაქვს საქმე. სტუდენტები ბრმა იარაღად გამოიყენეს და ამაზე პასუხისმგებლობა სწორედ ქვეყნის ხელისუფლებას ეკისრება. მე კარგად ვიცი ჩვენი საზოგადოების შეფასება. ხალხი რუსეთთან ურთიერთობას მხარს უჭერს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, საქართველო დაბრუნდება რუსეთის ბაზარზე, ამ ქვეყანას გაუჩნდება გამთლიანების შანსი და გახდება უფრო ძლიერი. ჩვენ აღნიშნულ დაპირებებს შევასრულებთ. ვერანაირი ბინძური პოლიტიკა და პროპაგანდა კალაპოტიდან ვერ ამოგვაგდებს. მიხეილ სააკაშვილისთვის მიმდინარე წლის გაზაფხული დასასრული, ან დასასრულის დასაწყისი იქნება, — თავად უნდა აირჩიოს. თუ კიდევ ერთხელ გადაწყვეტს და არჩევნებს გააყალბებს, ეს იქნება მისი დასასრული, ხოლო თუ კი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგი საზოგადოების განწყობისა და პოზიციის ამსახველი იქნება, ჩვენ სააკაშვილის დასასრულის დასაწყისს მივიღებთ.

**— ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსულ მხარესთან მჭიდრო ურთიერთობას კიდევ არაერთი ოპოზიციონერი ლიდერი გეგმავს. თქვენ თუ იცით რაიმე ამის შესახებ?**

— სხვა ოპოზიციური პარტიების პოზიციის თაობაზე არ ვიცი, მაგრამ საქმის კურსში ვარ ამ მიმართულებით „კონსერვატორებისა“ და „ხალხის პარტიის“ სამომავლო გეგმების შესახებ. ჩვენ „ედინნაია როსიასთან“ ერთად საქართველო-რუსეთის თემაზე ერთობლივ კონფერენციას ვამზადებთ, რომელზეც მთელს პოლიტიკურ სპექტრს მოვიწვევთ. ვიმედოვნებ, რომ აღნიშნული კონფერენციით სხვა პოლიტიკური ლიდერებიც დაინტერესდებიან და საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ექსკლუზივი მხოლოდ ჩვენ ვერ გვექნება. ღმერთმა დაგვიფაროს, რუსეთი საქართველოში მხარს მხოლოდ ერთ პოლიტიკურ პარტიას უჭერდეს. ქართულ-რუსული ურთიერთობების აღდგენა პრინციპულად მნიშვნელოვანია. ეს ნაბიჯი მე გადავდგი, გზა გაკვალულია და ამ გზაზე სიარული ახლა სხვებსაც შეუძლიათ. დღეს ეს უკვე გაცილებით მარტივია, ვიდრე ადრე იყო. ქართული პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი რუსეთთან ურთიერთობისთვის მზად არის. მხედველობაში ირაკლი ალასანიას, ნინო ბურჯანაძის, ზვიად ძიძიგურისა და კოба დავითაშვილის განცხადებები მაქვს. ალბათ, ხედავთ, რომ ქართველი „მოღალატეების“ რიცხვი იზრდება.

**— მინდა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს დავუბრუნდეთ. გაზაფხულზე მიხეილ სააკაშვილის დასასრულზე საუბრობდით. როგორ ფიქრობთ, როგორია გიგი უგულავას რეიტინგი, შესძლებს კი ნებისმიერი ოპოზიციონერი მერობის კანდიდატი მის დამარცხებას?**

— გიგი უგულავას და „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგს მხოლოდ ერთი ფაქტორი განაპირობებს: მიხეილ სააკაშვილსა და მის გარემოცვას საზოგადოების დაშინება და დატერორება ჯერ კიდევ შეუძლიათ. ეს ასე აღარ იქნება. პირადად მე არ დავუშვებ, რომ ადამიანებს საკუთარი მოსაზრებებისა და პოლიტიკური დამოკიდებულებების გამოხატვის ეშინოდეთ. დღეს ჩვენი, სრულიად ოპოზიციის მხარდამჭერები გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე გიგი უგულავას ელექტორატი, ამიტომ აღარ დავუშვებ, საზოგადოებას თვალებში ნაცარი კიდევ ერთხელ შეაყარონ. თუ სააკაშვილი და უგულავა არჩევნების გაყალბებას კიდევ ერთხელ გარისკავენ, მათი დასასრული გარდაუვალია. გიგი უგულავა თბილისის მერი არ გახდება, ეს არ მოხდება!

**— „დასასრულში“ ქუჩის საპროტესტო აქციებს გულისხმობთ?**

— „დასასრულში“ დასასრულს და საქართველოს გამარჯვებას ვგულისხმობ. აბა, გარისკონ და არჩევნები კიდევ ერთხელ გააყალბონ! სააკაშვილის ხელისუფლება გაზაფხულზე დასრულდება.

**— ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლევან გაჩეჩილაძე შესაძლოა, ე.წ. პრაიმერის მერობის კანდიდატი გახდეს. რას იტყვით ამ პერსპექტივის შესახებ?**

— მხოლოდ მივესალმები. ამის შესახებ სხვას ბევრს ვერაფერს გეტყვით.

**გაგა გოგსაძე**

SIC!

# ქეიმ ჩვენი ოჯახის თანხები და აქტივები მოიპარა!

## ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის განცხადება

**ევროპულ სასამართლოებში დამარცხებულმა და ბადრი პატარკაციშვილის თანხების მიტაცებაში დადანაშაულებულმა ჯოზეფ ქეიმ, კიდევ ერთ სასოწარკვეთილ ქმედებას მიმართა: ემანუელ ზელცერთან ერთად (რომელიც ასევე ფიგურირებს ზემოთ ხსენებული თანხების მოპარვის საქმეში) ნიუ-იორკის სასამართლოში ახალი სარჩელი შეიტანა!**

სარჩელში ქეი აცხადებს, რომ ზუსტად ორი წლის წინათ 2008 წლის 12 თებერვალს, ინა გუდავაძემ და ბორის ბერეზოვსკიმ, რამდენიმე სხვა თანამონაწილესთან ერთად (ერთ-ერთი ასეთი თანამონაწილე ჯოზეფ ქეის ყოფილი მეუღლეაძ, მოილაპარაკეს და... მოკლეს ბადრი პატარკაციშვილი! სარჩელი, სულ 56 ადამიანის წინააღმდეგ არის შეტანილი, რომელთა უმეტესობა არ სახელდება.

სარჩელი სავსეა აბსურდული ბრალდებებით. ქეი აცხადებს, რომ ინა გუდავაძე ბადრის მკვლელობის თანამონაწილე გახლდათ და რომ მან, თავისი ფინანსური შესაძლებლობების გამოყენებით, ინგლისელი სამართალდამცავების მიერ დაწყებული გამოძიების შეჩერება შეძლო.

სარჩელში, ქეი პოზიციას იმყარებს საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომლის თანახმადაც, იგი ბადრი პატარკაციშვილის ანდერძის დროებით აღმსრულებლად არის დანიშნული. აღსანიშნავია, რომ ქეი დუმს იმ გადაწყვეტილებების თაობაზე, რომლებიც დიდი ბრიტანეთის, გიბრალტარისა და ლიხტენშტეინის სასამართლოებმა მის წინააღმდეგ გამოიტანეს.



სარჩელში ქეი აცხადებს, რომ ინა გუდავაძემ მეუღლის მკვლელობით, მას ემოციური ტრავმა მიაყენა. დამატებით, ქეი აღნიშნავს, რომ ბადრი მას სხვადასხვა სახის სამსახურსა და ფინანსურ დახმარებას უწევდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ინამ ბადრი მოკლა, იგი ფინანსური დახმარების გარეშე დარჩა. ამისთვის, ქეი ინა გუდავაძისგან ფულად კომპენსაციას ითხოვს.

ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, პატარკაციშვილების ოჯახი აცხადებს:

„ჩვენ არ ვაპირებდით აღნიშნულ აბსურდულ ბრალდებებზე კომენტარის გაკეთებას, მაგრამ, გუშინ ქეისა და ზელცერის მიერ შეთითხნილ ამ ახალ ტყუილზე ინფორმაციის მიღების პარალელურად, ჩვენმა იურისტებმა მიიღეს შეთავაზება ზელცერისგან, მათთან მოლაპარაკების წარმოების თაობაზე.

გვინდა, რომ ზელცერამდე, ქეიმდე და მათ ამფსონებამდე მთელს მსოფლიოში, მკაფიოდ და გასაგებად მივიტანოთ შემდეგი სიტყვები:

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ქეიმ ჩვენი ოჯახის თანხები და აქტივები მოიპარა. ჩვენ გავაგრძელებთ ლეგალურ ბრძოლას ქეის წინააღმდეგ, არ დავიშურებთ ენერგიას და ჩვენი ოჯახის ხელში არსებულ რესურსებს, ვიდრე არ მივაღწევთ სამართლიანობის აღდგენას და არ მოვახდენთ მის მიერ მოპარული ბოლო ცენტის კონფისკაციას.

ჩვენ გავაგრძელებთ ქეის, მისი ხელშემწყობების და მათი საქმიანობის გამოაშკარავებას საერთაშორისო სასამართლოებში.

ჩვენ გამოვიყენებთ იმ შესაძლებლობას, რომელიც ქეიმ ამ ახალი სარჩელით მოგვცა, რათა ნიუ-იორკის სასამართლოში განვიხილოთ საქართველოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები. ამის გაკეთება ადრე არ შეგვეძლო და ეს ახალი სარჩელი ამის საშუალებას გვაძლევს.

ჩვენ წარმატებით გავაგრძელებთ ჩვენი ოჯახის სახელის, რეპუტაციისა და ქონების დაცვას სხვადასხვა ნაძირლისგან.

კონფლიქტი

# „პატარა ომის“ ექო

**„პატარა ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო: საქართველო, რუსეთი და დასავლეთის მომავალი“ – ასე ეწოდება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ყოფილი მოადგილის ევროპულ საკითხებში რონალდ ასმუსის ახლად გამოსულ წიგნს.**

რომ იტყვიან, „პირველი ხელიდან“ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ავტორი აცხადებს, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის 2008 წლის აგვისტოს ხუთდღიანმა ომმა „ევროპის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით რამდენიმე ისეთი დიდი კითხვა გააჩინა“, რომლებიც აუცილებლად საჭიროებს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროპის კოორდინირებულ პასუხს. ნატოს აღმოსავლეთის მიმართულებით გაფართოების დიდი მხარდამჭერი რონალდ ასმუსი ამტკიცებს, რომ ომი უფრო დასავლეთთან ბრძოლას წარმოადგენდა, ხოლო სააკაშვილის და რონალდ ასმუსმა ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში. გარდა ამისა, მისი აზრით, **„შეცდომა იყო ასევე ისიც, რომ ნატოს წევრ ქვეყნებს შორის არ არსებობდა ერთიანობა საქართველოსა და უკრაინისთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით“.**

რონალდ ასმუსი, **საქართველოს რუსეთის აგრესიის უნებლიე მსხვერპლად სულაც არ ხატავს, არადა, წერს რეჯის ჟენტე, სწორედ ამ აზრს 2008 წლის ხუთდღიანი ომის შემდეგ აქტიურად ავრცელებს საქართველოს ხელისუფლება.**

**„საქართველომაც უამრავი შეცდომა დაუშვა, რომელიც ომის მიზეზი გახდა და ამის თქმა მეგობრის ვალია“,** – განაცხადა მან Evrasia Net-თან ინტერვიუში და დასძინა, რომ **„თბილისს რუსეთთან ურთიერთობები უკეთ შეეძლო წარემართა, ხოლო ნელ-**

მთავრობამ, **„რუსეთის იმ უკმაყოფილებისა და აღშფოთებისთვის, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში გროვდებოდა საქართველოს წამქეზებელი ამერიკის შეერთებული შტატების, ნატოსა და სხვა ქვეყნების მიმართ, დაბალი ღობის როლი შეასრულა“. იგი ასევე დარწმუნებულია, რომ „კონფლიქტი (საქართველოსა და რუსეთს შორის – ო.ტ.) მოსკოვისთვის იმის გაცხადების საშუალება იყო, რომ წესები, რომლებიც მოქმედებს ევროპის უსაფრთხოების სისტემაში, აღარ გამოდგება...“** აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როგორც რეჯის ჟენტე Evrasia Net-ის მიმოხილვაში წერს, კრემლის თვალთახედვა ამ საკითხთან დაკავშირებით წიგნში ასახული არ არის, ხოლო თავად რონალდ ასმუსი აცხადებს, რომ **რუსეთის ოფიციალურმა პირებმა მასთან საუბარზე უარი განაცხადეს.** ამერიკელი დიპლომატი კი, რომელიც 1997-2000 წლებში პრეზიდენტ ბილ კლინტონის ადმინისტრაციაში მოღვაწეობდა, დასავლელ პოლიტიკოსებს ორ საკვანძო გადაწყვეტილებაზე ყურადღების ფოკუსირებისკენ მოუწოდებს. ესენია, კერძოდ, **კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება და საქართველოსა და უკრაინისთვის ნატოში გაწევრების სამოქმედო გეგმის შემუშავების კამპანია.** იგი დარწმუნებულია, რომ დასავლელ დიპლომატებს არ სურთ იმის გაგება, თუ რამდენად შორს წავიდა მოსკოვი კოსოვოს დამოუკიდებლობის ინტერპრეტირებაში – მან ეს ნაბიჯი ნატოს აღმოსავლეთისკენ ექსპანსიის ბარიერად მიიჩნია.

**„ჩვენ არ გვიფიქრია იმ თანამდევ ეფექტზე, რაც ამას კავკასიაში შეიძლება მოჰყოლოდა. ჩვენ გვქონდა არგუმენტი, რომ ეს არის პრეცედენტი, სამაგიეროდ არანაირი პოლიტიკა არ გაგვაჩნდა“,** – განაცხა**თბილ ევროპულ მხარდაჭერას მხოლოდ დაშოშმინების ფუნქცია როდი ჰქონდა, როგორც ამას ზოგჯერ ოფიციალური პირები ვარაუდობენ, ეს იყო იმის გამოხატულება, რომ არსებობს ეჭვი თბილისის დემოკრატიულ რეფორმებთან დაკავშირებით, ასევე ქართული დიპლომატიის სისუსტის გამო“.**

2008 წლის 7 აგვისტოს, მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო, ბატონი ასმუსი საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ცხინვალის მიმართულებით დაქვრის თაობაზე „სასოწარკვეთილ პასუხს“ უწოდებს, რასაც ე.წ. **სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დაკარგვა, რუსეთის არმიის თბილისში შემოჭრის საფრთხე, სამაჩაბლოში ქართველთა ეთნიკური წმენდის პერსპექტივა და, ასე განსაჯეთ, მისი პოლიტიკური მომავლის დასასრული მოჰყვა,** არადა მანამდე დასავლელ მეგობრებს იგი არაერთხელ ჰყავდათ გაფრთხილებული, რომ **ომი არავითარ შემთხვევაში არ დაეწყო.** ასმუსის აზრით, საქართველოსა და სხვა საბჭოთა რესპუბლიკისთვის ნატოს კარი ღია უნდა იყოს, თუმცა აუცილებელია ასევე რუსეთთან მჭიდრო თანამშრომლობა.

სამომავლო პერსპექტივის განჭვრეტისას, რონალდ ასმუსი იმედს გამოთქვამს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპა კვლავ შეძლებენ ერთ პოზიციაზე შეჯერებას, რათა ახალი ეპოქის გამოწვევებს გაუმკლავდნენ, მაგრამ, მისი აზრით, კონკრეტულად თუ რა უნდა მოიმოქმედოს დასავლეთმა ამ პრობლემების გადასაჭრელად, ეს უკვე მომავალი ძალისხმევის საკითხია.

მოამზადა
**დავით მერიშვილმა**




საინვესტიციო გარემო

# სპარსეთის ყურის ქვეყნები: ინტერესები საქართველოში

**ქვეყნის ეკონომიკაში დასაბანდებელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა გასული წლის განმავლობაში, ფინანსთა სამინისტროს მოლოდინით, თითქმის 13 მილიარდი დოლარი უნდა ყოფილიყო, თუმცა რეალური თანხა გაცილებით ნაკლები აღმოჩნდა. შარშან პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი არაბთა გაერთიანებულ საამიროებს რამდენჯერმე ეწვია, რის შემდეგ განაცხადა, რომ უახლოეს ორ-სამ წელიწადში ქვეყნის ეკონომიკაში მილიარდი დოლარი ინვესტიციების დაპირება მიიღო, რაც საამიროებს საქართველოს უმსხვილეს საგარეო ინვესტორად გადააქცევს. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ფულის დაბანდების მხრივ წამყვანები Ras al Khaimah investment Authority (RAKIA) და მისი საკუთრების განვითარების ჯგუფი Rakeen არიან.**

საქართველოსა და RAK-ს შორის საინვესტიციო კავშირი ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დადგომამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო და შარშანწინდელმა რუსეთთან აგვისტოს ხუთდღიანმა ომმა ისინი უაღრესად მნიშვნელოვანი გახადა, ვინაიდან არავისთვისაა ახალი და მოულოდნელი, რომ ჩვენი ეკონომიკა, უწინარესად, უცხოური კაპიტალის შემოდინებაზეა დამოკიდებული. 2008 წელს RAKIA-მ ფოთის ნავსადგურის აქციების დიდი ნაწილი შეიძინა, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორც ცნობილია, საქართველოში პირველი თავისუფალი ეკონომიკური ზონა შეიქმნება. ახლო მომავალში Rakeen, რომელიც თბილისსა და მის შემოგარენში უკვე რამდენიმე საცხოვრებელი და ბიზნეს-კომპლექსის მეპატრონეა, ფოთის მახლობლად კავკასიაში ყველაზე დიდი აეროპორტის აშენებას გეგმავს.

**... შუაღამისას ვერტმფრენი თეატრალური დრამატიზმით საქართველოს ტერიტორიაზე ეშვება და იქიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ახალი ტალღის სიმბოლო Ras al Khaimah-ის ხელმძღვანელი გამოდის...** გაზეთ „The National“-ი აღნიშნავს, რომ ესაა სცენა CNN-ის მიერ საქართველოზე გადაღებული კლიპიდან, რომელიც ქვეყნის საერთაშორისო ბიზნესისთვის გახსნილობის რეკლამის მიზნითაა გადაღებული.

ასე რომ, როგორც ჩანს, საქართველოში პირდაპირი ინვესტიციების განხორციელებით მარტო არაბეთის გაერთიანებული საამიროები კი არა, საერთაშორისო ბიზნესიცაა დაინტერესებული.

**ოთარ ტურაბელიძე**




ჰა, ჰა, ჰა!

# ვაგროვებ ქართულ სისულელეებს

**როგორც „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან შევიტყვე, გამოჩენილ ქართველ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს გურამ წიკლაურს ქართული სისულელეების შეგროვება გადაუწყვეტია. ამ უჩვეულო წამოწყებამ იმდენად დამაინტერესა, რომ თაოსნობის ავტორს ბინაში ვესტუმრე და ექსკლუზიური ინტერვიუ ვთხოვე.**

– ბატონო გურამ, გავიგე, რომ დიდი ეროვნული საქმე წამოგიწყიათ.

– ქართული სისულელეების შეგროვებას გულისხმობთ?

– დიახ, სწორედ მაგასთან დაკავშირებით მაქვს რამდენიმე კითხვა.

– ბრძანეთ, ბატონო, გისმენთ.

– ამბობენ, სისულელეების აუწონავ მადანს მიაგნოო, მართალია?

– მართალია. მსოფლიოში არ მეგულება მეორე ისეთი ქვეყანა, სადაც სისულელე-ცრუპენტელობის ამხელა მარაგს ფლობდნენ.

– აბა, მაგხელა საბადოდან ამ იშვიათი განძის მოპოვება-გადამუშავებას რამდენიმე კორპორაცია მაინც დასჭირდება.

– არა, ასეთი კორპორაცია უკვე შევქმენი და საწარმოს მშენებლობასაც შევუდექი.

– დარწმუნებული ვარ, კონკურენტი მაინც გამოგიჩნდებათ. აგერ მადნეულის საბადოდან, მაგალითად, წიაღისეულს ორი თუ სამი საწარმო ამუშავებს.

– იმ და ამ საბადოს ერთმანეთში არევა არ შეიძლება.

– რატომ?

– ბოლნისის საბადო წიაღისეულია, ჩემ მიერ აღმოჩენილი კი ატმოსფეროსეული, შეიძლება ითქვას, ეს უკანასკნელი მთელ კოსმოსშია გაფრქვეული.

– კარგია, კარგი. გამოდის, რომ საყოველთაო კრიზისის ჟამს, სისულელეების წყალობით საქართველომ, შესაძლოა, დიდ ბიზნესს გამოჰკრას ხელი.

– რა თქმა უნდა, გუშინ არაბი ინვესტორები უკვე მომადგნენ.

– სისულელეების შესასყიდად?

– ჰო, ერთი მილიარდი დოლარი შემომთავაზეს.

– მარტო მთავრობის სისულელეებში?

– არა, ყველა სისულელეში (მთავრობის, პრეზიდენტის, ტელეარხების და სხვ.ძ ერთად.

– ცოტა შემოუძლევიათ.

– ამიტომაც გავისტუმრე უარით. მამაძაღლები არიან, ჩვენს თავანკარა სისულელეებს ევროატლანტიკური ტექნოლოგიით შეკმაზავენ, თანამედროვე დიზაინს მოარგებენ და მსოფლიო ბაზარზე ოქროს ფასად გაასაღებენ.

– გეთანხმებით, აჯობებს ჩვენი სიმდიდრე ჩვენვე გადავამუშაოთ და ისე გავყიდოთ.

– რა თქმა უნდა, ისიც გვეყო, რაც საქართველოდან დღემდე ჯართი და ნედლი ხეტყე კაპიკებად გაზიდეს.

– რუსულ ბაზარზე რას იტყვით. იქნებ უნიკალურმა ქართულმა სისულელეებმა რუსებიც მოხიბლოს?

– ასეც ვფიქრობ. ესეც ხომ ფალსიფიცირებული ღვინო და „ბორჯომი“ არ არის, რომ დაიწუნონ? ისეთ ხარისხიან და მამალ-მამალ სისულელეებზე, როგორიც მთავრობისა და პრეზიდენტის ენა-პირით იფრქვევა, რომელი ქვეყნის ბაზარი იტყვის უარს?

– კიდევ რა მაინტერესებს, ედუარდ შევარდნაძე თუ გამოტყდა, რომ იანუკოვიჩი მისი შვილია?

– გამოტყდა რომელია, თურმე თანახმაა, აქამდე მიმალულ შვილს საკუთარი გვარი მისცეს. მალე უკრაინა გაიგებს, რომ პრეზიდენტად ქართველი აურჩევია!

– იულიას რომ გაემარჯვა?

– მაშინ კლარა აბრამია მისცემდა თავის გვარს, იულიასავე თქმით ხომ კლარა მისი დედა ყოფილა?!

– ბატონო გურამ, არ გეშინიათ, ამდენი სისულელეებიდან მიღებულ შემოსავალში, პრეზიდენტმა და მთავრობამ წილში ჩაჯდომა რომ მოითხოვონ?

– ვერ მივართვი! ქართული სისულელეების როგორც შემგროვებელი, ისე რეალიზატორი მე გახლავართ და არა ეგენი.

– მაგრამ ამ სისულელეთა უმეტესობის შემოქმედნი თავად ეგენი არიან და საავტორო ჰონორარი თუ მოითხოვეს, შეიძლება მიზანსაც მიაღწიონ.

– არავითარ შემთხვევაში! – ცეცხლი მოიკიდა გურამმა, – მაგათი სისულელეები მთელ მსოფლიოს მოვდო და კიდევ ჰონორარი ვაძლიო?

– მაგათგან ყველაფერია მოსალოდნელი. ხომ გაგიგიათ, კატას უთხრეს, შენი კურკლი წამალია და მიწა წააფარაო. ესენიც რომ გაიგებენ, ჩვენს ნაცრუპენტელევს ოქროს ფასი ადევსო, საკუთარი სისულელეები სიბრძნედ მოეჩვენებათ.

**ოტია ჩართოლანი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილმა თავის საქმეებზე სასამართლოში უნდა აგოს პასუხი

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თავის საქმეებზე უნდა აგოს პასუხი და წარსდგეს სასამართლოს წინაშე, განაცხადა დიმიტრი მედვედევმა, როდესაც ტომსკის უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა შეკითხვებს უპასუხებდა.**

ერთ-ერთი სტუდენტი გოგონა დაინტერესდა, რატომ ასამართლებენ ყველას, მაგრამ არა სააკაშვილს, „რომელმაც მოაწყო ჩვენი ხალხის ნამდვილი გენოციდი, და ამაზე ყურადღებაც არავინ მიაქცია“. „მე თქვენ ასი პროცენტით დაგეთანხმებით. თითოეულმა თავის საქმისთვის უნდა აგოს პასუხი და თავისი საქმის გამო იგი თავისას მიიღებს. თუ შენ რაიმე ისეთი ჩაიდინე, თანაც პრეზიდენტის თანამდებობაზე ყოფნის დროს, რისთვისაც პასუხი უნდა აგო, პასუხისმგებლობა, ადრე თუ გვიან, დადგება“, – უპასუხა მედვედევმა. რუსეთის პრეზიდენტის სიტყვებით, „უწინარეს ყოვლისა, ბატონმა სააკაშვილმა პასუხი უნდა აგოს თავისი ხალხის წინაშე, რომელიც მან ჩაითრია ომში, გაწირა მსხვერპლისთვის და საბოლოო ჯამში ყოველივე ამან მიგვიყვანა მისი სახელმწიფოს დაშლამდე“.

სინამდვილეში კი მწვავე შეკითხვების მიცემას თავისი პრეზიდენტისთვის აპირებს არა თემიდა, არამედ ოპოზიცია. სააკაშვილი, როგორც ელოდებიან, უნდა გამოვიდეს პარლამენტში თებერვლის ბოლოს ყოველწლიური ანგარიშით საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებზე. გამოსვლის ზუსტი დრო ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ საპარლამენტო ოპოზიციამ უკვე დაიწყო მზადება ამ ღონისძიებისთვის.

როგორც „გრუზია ონლაინი“ იტყობინება, დამოუკიდებელმა დეპუტატმა გია ცაგარეიშვილმა წერილით მიმართა პარლამენტის სპიკერს და სთხოვს მას გამოუყოს დრო გამოსვლისთვის. პარლამენტარი, კერძოდ, აპირებს შეეკითხოს სააკაშვილს, თუ რაზე იხარჯება სახსრები პრეზიდენტის ფონდიდან. ამას გარდა საქართველოს ლიდერის ოპონენტებს აქვთ ბევრი სხვა არასასიამოვნო შეკითხვაც.

ადრე ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი საუბრობდა იმის შესახებ, რომ ქვეყნის განვითარების დასავლური ვექტორი შეცდომა იყო და რომ საქართველოს გადარჩენა – ეს არის რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის მოწესრიგება. ამ თვალსაზრისის მომხრეები მთავრობაში უკვე ჩარიცხეს საქართველოს ეროვნული ინტერესების გამყიდველთა სიაში. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი



ლიდერის თენგიზ შარმანაშვილის სიტყვებით, ამგვარი განცხადებები საქართველოს სრული ოკუპაციის პირდაპირი ხელშეწყობაა. ვლადიმერ პუტინს ერთი მიზანი აქვს – აღადგინოს საბჭოთა კავშირის ტერიტორიული მთლიანობა და სწორედ ამას ისახავს მიზნად კრემლი, ამტკიცებს შარმანაშვილი.

როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი აცხადებს, საქართველოს პოლიტიკოსების ნაწილის სიმპათიები რუსეთისადმი, რასაც ადრე ცუდ ტონად მიიჩნევდნენ, მოწმობს იმაზე, რომ დასავლური ვექტორი ზოგიერთისთვის „იყო არაცივილიზებული არჩევანი, მომგებიანი იდეოლოგიური ნიღაბი იმ მომენტისთვის“. „გავიხსენოთ კიდევ ერთხელ, თუ რას ნიშნავდა ეს არჩევანი – ეს ნიშნავდა ჩვენს სურვილს თავი დაგვეღწია რუსული „დერჟავისთვის“, უარი გვეთქვა აბსურდულ ისტერიკულ ექსპერიმენტებზე, საითკენაც გვიბიძგებს ეს მსოფლიო. ეს ნიშნავდა, რომ ჩვენ უარს ვამბობთ ვიცხოვროთ მსოფლიოში, სადაც ადამიანის ღირსება არაფერი ღირს და სადაც ათეული მილიონობით ადამიანი შეიძლება განადგურდეს კლასობრივი ნიშნით. სხვა ხალხებთან ერთად ამ არჩევანით ჩვენ ვაკეთებდით იმის დეკლარირებას, რომ ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობს ღირსეული და თავისუფალი ნების ადამიანები“, – დაუმატა მან.

მისი სიტყვებით, „ისინი გვარწმუნებენ, რომ რუსეთისთვის პრობლემას სააკაშვილი წარმოადგენს და არა ქართველი ხალხი“, მაგრამ ამავე დროს „გვავიწყდება, რომ რუსეთისთვის ასეთივე პრობლემები იყვნენ გამსახურდია და შევარდნაძე“. „ვინ დასაჯა რუსეთმა მთელი ამ ოცი წლის განმავლობაში სეპარატიზმისა და პროვოცირებული კონფლიქტების წახალისებისთვის? ვინ დასაჯა მან 2008 წლის აგვისტოში? რუსეთმა დარტყმა მიაყენა არა სააკაშვილს, არამედ თითოეულ ჩვენგანს – ხალხს, რომელსაც თავისუფლება სურს. დღეს რუსეთის პოლიტიკისთვის სააკაშვილი მხოლოდ საბაბია. ასეთივე საბაბი იყო გამსახურდიაც, რომელმაც გაბედა გამოეცხადებინა დამოუკიდებლობა, შევარდნაძეც, რომელმაც ნავთობსადენის გახსნით ქვეყანას გეოპოლიტიკური ფუნქციები დააკისრა, და ასეთივე საბაბი გახდება ნებისმიერი, ვინც, ასე თუ ისე, განახორციელებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის იდეას. რუსეთის იმპერიულ პოლიტიკას პრობლემა აქვს თითოეულ ჩვენგანთან“, – აღნიშნა ფირალიშვილმა.

**უსმან ბოკიევი**

Утро.ru

**შპს „თბილისის სააუქციონო სახლი” (მდებარე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას № 71) მართავს პირველ იძულებით საჯარო აუქციონს სოფიო შოშიაშვილის (პირადი № 36001011872) და რამაზ აფხაზიშვილის (პირადი № 01019004714) კუთვნილი უძრავი ქონებების რეალიზაციის მიზნით, უძრავი ნივთები დატვირთულია იპოთეკით სს ბანკ “რესპუბლიკის” სასარგებლოდ მოვალის, შპს “არქ თრეიდის”-ს ფულადი ვალდებულების უზრუნველსაყოფად. აუქციონზე ერთ ლოტად გამოტანილი იქნება შემდეგი უძრავი ნივთები:**

1. სოფიო შოშიაშვილის კუთვნილი 1200.00კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული საცხოვრებელი სახლი საერთო ფართი 177კვ.მ., საერთო სარგებლობაში არსებული ფართი 162, 45კვ.მ, საცხოვრებელი ფართით 47,32კვ.მ., დამხმარე ფართი- 22.08კვ.მ., სამეურნეო ფართი 48კვ.მ., საზაფხულო ფართი 44.62., მდებარე: გარდაბნის რაიონი სოფ. □მარტყოფი. მიწის (უძრავი ქონების) სარეგისტრაციო № 811026101.

2. რამაზ აფხაზიშვილის საკუთრებაში არსებული ბინა № 35, ფართით 137 კვ.მ, მდებარე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი, № 11ა, სადარბაზო 1, სართული 5. მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: № 01.10.14.011.013.01.035

აუქციონის დანიშვნის საფუძველია:

1) კრედიტორის - სს „ბანკ რესპუბლიკის” მომართვა;

2) 2008 წლის 29 დეკემბრის იპოთეკის ხელშეკრულებები № 328441-1, № 328441-2.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306[4]-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გასაყიდი ქონების ფასი პირველ იძულებით აუქციონზე შეადგენს 190 282. 88 (ასოთხმოცდაათიათას ორასოთხმოცდაორი მთელი ოთხმოცდარვა მეასედი) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს და 26 469. 63 (ოცდაექვსიათას ოთხასსამოცდაცხრა მთელი სამოცდასამი მეასედი) ლარს.

აუქციონი გაიმართება თბილისში, მისამართზე: ვაჟა-ფშაველას 71, II სართული, 2010 წლის 25 თებერვალს, 11:00სთ-ზე. ტელ.: 207 307.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1) საბანკო გარანტია საწყისი თანხის 10%-ზე, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულ გადახდას (გარანტიის **ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი სს „ბანკი რესპუბლიკა”**);

2) აუქციონში მონაწილე პირის პირადობის მოწმობის ასლი;

3) მინდობილობა, თუ პირი წარმოდგენილია სხვა პირით (ფიზიკური პირის შემთხვევაში აუცილებელია მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება);

4) თუ აუქციონში მონაწილეობს იურიდიული პირი, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნას სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი და უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება უძრავი ქონების შესყიდვაზე (თუკი წესდებით ანდა კანონით გათვალისწინებულია ამგვარი თანხმობის საჭიროება).

აუქციონზე მონაწილეობისათვის საბუთების მიღების ბოლო ვადად განისაზღვრა 2010 წლის 25 თებერვალი, 10:30 საათი.

ყველა სხვა პირი, რომელსაც გააჩნია უფლებები აღნიშნულ უძრავ ქონებაზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი დოკუმენტი და მტკიცებულებანი წარმოადგინოს აუქციონის დაწყებამდე, 2010 წლის 25 თებერვლის 11:00სთ-მდე.

აუქციონზე გამარჯვებულმა პირმა უძრავი ქონების ღირებულება (აუქციონზე დაფიქსირებული თანხა) სრულად უნდა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან 7 დღის განმავლობაში, ნასყიდობის თანხის ჩარიცხვით შპს „თბილისის სააუქციონო სახლის” ანგარიშზე 10900938679, მომსახურე ბანკი: სს „ბანკ რესპუბლიკის“ ცენტრალური ფილიალი.

## დედამიწის ზურგზე



**ყველა სამხედრო, რომელიც იცავდა აშშ-ში ბირთვული ქუბინების საწყობს, გაათავისუფლეს პროფესიული უვარგისობის გამო**

**ნიუ-მექსიკოში „კიტოლენდის“ ავიაბაზაზე ინახება ორი ათასი ქუბინი. სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობაში აცხადებენ, რომ ოფიცრებს არ გაუვლიათ ინსპექცია ჯერ კიდევ ნოემბერში, მაგრამ დატოვეს სამსახურში. მეთვალყურეები აღნიშნავენ, რომ ამგვარმა დაუდევრობამ შარშან შოკისმომგვრელი ეპიზოდები გამოიწვია.**

* * *

**ესპანელ „ორმაგ აგენტს“, რომელსაც ბრალად ედება საიდუმლო ინფორმაციის გადაცემა რუსეთისთვის, 14 წელი მიუსაჯეს**

**რობერტო ფლორენს გარსია 2007 წელს დააპატიმრეს მას შემდეგ, რაც მის სახლში აღმოაჩინეს ორი წერილი მადრიდში რუსეთის ფედერაციის საელჩოს მესამე მდივნის პეტრე მელნიკოვის სახელზე. მათში ესპანელი გამოხატავდა სიმპათიებს რუსეთისადმი და აქებდა რუსეთის სპეცსამსახურების პროფესიონალებს, აგრეთვე აკრიტიკებდა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას.**



* * *

**რუსეთიდან გამოსულს ბრალდება წაუყენეს ბანკ „გოლდმან საქსის“ საიდუმლოებათა მოპარვაში**

**ამერიკის შეერთებულ შტატებში ოცი წლის განმავლობაში მცხოვრები სერგეი ალეინიკოვი მუშაობდა ბანკში 2007 წლის მაისიდან 2009 წლის ივნისამდე. მას ბრალს სდებენ კომერციული კოდების მოპარვაში და სანედლეულო ბაზრებში შეღწევისთვის, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ბაზარში შეღწევისთვის. ალეინიკოვი ჯერ დააპატიმრეს, შემდეგ კი 2009 წლის აგვისტოში გაათავისუფლეს 750 ათასი დოლარის გირაოთი.**

* * *

**ბაიკონურიდან სტარტი აიღო „პროტონ-მ“-მ ამერიკის კავშირგაბმულობის თანამგზავრით**

**გეოსტაციონარულ ორბიტაზე თანამგზავრი დაიკავებს თავისი დგომის წერტილს დასავლეთის მერიდიანის 58 გრადუსზე. ის იმუშავებს კომპანია „სკი მეხიკოს“ ინტერესების სასარგებლოდ, რომელიც გადასცემს ახალ ამბებს, სპორტულ და გასართობ ტელეპროგრამებს ჩრდილოეთი და სამხრეთი ამერიკის ქვეყნებზე. მუშაობის ვადა ორბიტაზე 16 წლით განისაზღვრება.**



მაგიდას ვუზივარ და ქაღალდიდან გესაუბრები, ამიტომაც ძალიან ნუ გაგაკვირვებს ჩემი მოულოდნელი მიმოქცევები...

ბავშვობიდან მომდევს ასე, რასაც ვხედავ და ვგრძნობ, ძალიან იშვიათად ყოფილა გასაგები და მისაღები სხვებისთვის. ფანტაზია, შენც კარგად მოგეხსენება, ყოველთვის მდიდარია სინამდვილეზე. ჰოდა, ჩამოვჯდეთ ძელსკამზე. საღამოს გასეირნებები კარგია, სულსაც უხდება და გულსაც. მერე კიდევ, ისეთ რამეებს გაგახსენებს და მოგაყოლებს, მეხსიერების სიღრმეებში რომ გქონია თურმე შეჯუჯნულ-მივიწყებული. თითქმის მთელი ჩვენი ცხოვრება გავიხსენეთ, მისი ავ-კარგით, ასე არ არის? ახლა, მგონი, მეორე წრეზე გავდივართ. მე კი ერთი ამბავი უნდა გითხრა. აქამდე ვინახავდი რატომღაც... შენთვის შეიძლება გამხელა, იმიტომ რომ სხვანაირი ხარ, ძალიან ახლობელი და ფიქრიანი. არ გაქვს, არა. ასეთი ხარ და მორჩა. ამიტომაც გადავწყვიტე... არა, ცუდი არაფერია, ერთი ჩვეულებრივი ამბავია თითქოს, მაგრამ... ეს ერთი შეხედვით. შენ კი ორმად ჩასვლა გიყვარს. ერთი სიტყვით მიაგნებ ჭეშმარიტებას და სამშვიდე დადებ. ამიტომაც მიყვარს შენთან საუბარი.

კარგი იყო თუ ცუდი, ჩვენი ცხოვრებით ვიარეთ, ძმაო. ყველას თავისი გზა აქვს. შენს თავში და გულში გადის ის გზა. გულითაც და გონებით უნდა იაროო, უთხრა უფალმა კაცს. მარტო გონებით ან მარტო გულით არ ვარგა. უგულო კაცი სასტიკია და დაუნდობელი, უგონო – სულელი, უგუნური და რეგვენი. მე ორივეთი მივლია ჩემი ცხოვრების გზაბაწარეზე. ამას ტრაბახით არ გამბობ, ასეა ნამდვილად. მაგრამ სრულ ბალანსში არ მქონდა, ესეც ცხადია. გული მჭარბობდა. ახლაც ასეთი ვარ. სიბერეში სიბრძნე მოდისო, თქმულა. ჩემთან მაინც გულია მთავარი. ამ ოცდახუთი წლის წინ ინფარქტი მივიღე. ვმკურნალობდი დიდხანს. ჰოდა, ერთხელ, უკვე ფეხზე შემდგარი, მივსეირნობ ბულვარში. ნაცნობი მხვდება. გიავადმყოფიაო, მეუბნება. ჰო, იყო-მეთქი, ვუპასუხებ. მე თხუთმეტი წლით უფროსი ვარ შენზე და გული სადა მაქვს, არცკი ვიციო, ამბობს, თან თავისებური თავმოწონებით იცინის. არ გაქვს და იმიტომ-მეთქი, ვუპასუხე და გავშორდი. ის კაცი მართლა უგულოა, ამიტომაც ვუპასუხე ასე. უსულგულოდ გატარებული ცხოვრების რა ვთქვი მე!.. ქალთან რომ მიხვალ, თუ გული არ მიიტანე, თუ არ აგიზგიზდი, აჩახჩახდი, დაიწვი და ჩაიფერფლე, მერე ისევ ფენიქსივით არ წამოიმართე და ისევ არ ჩაიფერფლე, პირუტყვი ხარ მაშინ, ცხოველი! უგულო ფართიფურთი საკუთარი თავის განადგურებაა. მე ასე მგონია. ჰა? არ ვარ მართალი? ასაკში შევედი, მარა ჯერაც...

ეჰ, მოულოდნელობებითაა სავსე ცხოვრება, ამიტომაცაა, ალბათ, საინტერესო. ბედი ხშირად მეტისმეტს იძლევა, საკმაოს კი – არასოდესო, ერთ ბრძენს უთქვამს. გახსოვს, ამ ათიოდე წლის წინ გითხარ, რა გენაღვლება, ძმაო, ასლანი გქვია-მეთქი. ჰოო!..– თავმომწონე ღიმილით მიპასუხე მაშინ. მერე „ვარდების რევოლუციით“ მოსულმა ხელისუფლებამ ერთიანად ამოაგდო აქაურობის წინა მმართველის გვარ-სახსენებელი. ახლა... ძალიან მეცოდებიმეთქი, წამომცდა. არაფერი გიპასუხია, ისევ ღიმილით ჩაღუნე თავი, ოღონდ მწარე იყო ის ღიმილი... ნუ ნაღვლობ, ჩემო ძმაო, „წყალნი წავლენ და წამოვლენ“... ხალხის ნათქვამია ეს სიბრძნე.

ამას წინათ მეგობრებთან ვსაუბრობდი. ერთი ნაცნობი მომვარდა უცებ... კარგად იცნობ იმას, იმიტომ რომ მთელი ქალაქი იცნობს. კოლორიტია რა, ჩვენი ცხოვრების ფიგარო. მომვარდა და მობილურის ეკრანი ამიკიაფა თვალწინ.

– ნახე ვისთან მაქვს სურათი გადაღებული! – თან სიამაყით უბრწყინავს სახე. რას ვხედავ, კაცო! სააკაშვილთან ხელგადახვეული ზის. წინ ბოთლები... ბოთლები... სულ უცხოური, ცხადია. კიდევ სხვა რამეებიც უხვად... მოკლედ, ხასიათზე არიან, – მაგარია, არა? – მეკითხება.

– ძალიან, – ვუპასუხებ, – ადრე ასლანთანაც იყავი მასე ჩახუტებული.

ჩემი არ ესმის, ან არ უნდა გაგონება.

– მიშას ვუთხარი, ძმობას გაფიცებ, ოპოზიციის ჯინაზე არ გადადგე-მეთქი.

– ასლანსაც მაგას ეუბნებოდი.

შემხედა. შემათვალიერა. უცებ დახურა მობილური და გაიქცა. ახლა, ალბათ, სხვებისთვის გულის გასახეთქად.

რატომ მოგიყევი? ჩემთან ყველაფერი თავისთავად ხდება. გუმანი მკარნახობს, მთავარ სათქმელთან მისასვლელი ბილიკებია ეს.

ჩემი კაბინეტი, უფრო სწორად, სამუშაო ოთახი, ბინაში მაქვს მოწყობილი. უნივერსალურია. აქ მუშაობს მწერალიც, მხატვარიც... ეგ კიდევ არაფერი, წარმოიდგინე, აქ გადის რეპეტიციებს მომღერალიც, ადრე – ხშირად, ბოლო წლებში – სულ უფრო და უფრო იშვიათად. აქვე მძინავს. არადა, სიმღერა ჯერაც ჩემი სტიქიაა. როცა ხმაზე ვარ, ასე მგონია, მზითა და ყვავილებითაა სავსე ის დღე. როცა ვმღერი და ჩემი ხმის სუფთა ბგერები მესმის, ცისა და ზღვის ზურმუხტოვან სივრცეში მივცურავ...

დროსა და მდგომარეობას თავისი მოაქვს, ჩემო კარგო. ახლა ტირილს უფრო ჰგავს ჩემი მღერა. მე ასე მეჩვენება და რა ვქნა. კლასიკური რომანსი ჩემი სისუსტეცაა და სიძლიერეც. ბოლო დროს ეს სევდიანი ავიჩემე: „მაგრამ ფიქრები, ჩემი ფიქრები შუაღამისას მოფრინდებიან...“ იცი, არაყიშვილისაა ეს... „მომატარებენ დაქანცულ სოფელს, დამძიმდებიან, დაოსდებიან. მომიყვანებენ ისევ ოთახში და ჩემ საწოლთან ატირდებიან,“ – ასე მთავრდება. შთამბეჭდავია, არა? წარმომიდგენია, რას გრძნობდა ის დიდი კომპოზიტორი, როცა ამ რომანსს წერდა...

თეატრის წინ, გორაკზე, სადაც სულ ცოტა ხნის წინ ერის სულიერი მამის – დიდი ილიას ძეგლი იდგა, ფუსფუს-ფაცხაფუცხია გაჩაღებული. ახალ კვარცხლბეკზე ნეპტუნის ქანდაკი აღუმართავთ. ახლა აუზისა და მიმდებარე ტერიტორიის მოსაპირკეთებელ-მოსალამაზებელ სამუშაოებს ამთავრებენ.

რომ ვნახე, კინაღამ ელდა მეცა. ნეპტუნი ისეა წაკუზულ-მიხრილი, რომ უკანალი მიმშვილდული აქვს... თეატრისკენ. ქართული ხელოვნების ამ ჭეშმარიტად ღირსეული ტაძრიდან სულიერად ამაღლებული გუნება-განწყობით გამოსული მაყურებელი უნებლიეთ... რომაული მითოლოგიის ზღვის ღმერთის მარჯვედ მოზიდულ-დაყენებული უკანალის წინაშე აღმოჩნდები. აქვე უნდა ითქვას, რომ ნეპტუნის უკანალი უფრო შემართულად და ყოჩაღად გამოიყურება, ვიდრე საკონსტიტუციო სასამართლოსა და უმაღლესი საბჭოს შენობებისაკენ მიქცეული გენიტალიები. ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს ეს?!

აუზში მონებივრე საკმაოდ არაჰაეროვან ნიმფებს საკუთარი მწიფე ძუძუებისათვის ჩაუვლიათ ხელები და დაბერილი კერტები მაყურებლისაკენ მიუმართავთ...

ცოტა მოშორებით, დღეს, უკვე ცნობილ ევროპის მოედანზე, სივრცეში წასული კოლხი ასულის ქანდაკი შორეთს გასცქერის. მისი გული და გონება სხვაგანაა, სხვა ქვეყანაში. გაწვდილ ხელში ისე უჭირავს ოქროს ვერძი, გეგონება დღესაც ივედრება, თუ რამ დაგვრჩა, წაიღეთ და მეც წამიყვანეთო. ძეგლს თუ ცოტა მოშორებიდან გავხედავთ, მოქანდაკის უნიჭობასაც შევნიშნავთ. მედეას ქვედა კიდურები მოკლე და უკანალიც ჩამოვარდნილი აქვს. ოდნავ ჩაჩოქილი, ისე დგას, იფიქრებ, შარდს ძლივს იკავებსო.

რუსთაველის პროსპექტზე, ქვეყნის მომავალი თაობის აღზრდისა და პროფესიული განათლების ტაძრის – ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის (რომელიც, აგრეთვე გენიალური შოთას სახელს ატარებს), წინ დღედაღამ ტრიალებს ევროპაში ყველაზე დიდი ეშმაკის ბორბალი.

ილია ჭავჭავაძე, ერის უგვირგვინო მეფე, კაცი-წმინდანი, თეატრის უკან გადასვეს. ახლა თეატრიცა და ილიაც ერთმანეთისაგან ზურგშექცევით არიან. ეს... თეატრმა აქცია ზურგი ქართველ გენიოსსა და მოძღვარს. და არამარტო მან. უფრო სწორად, თეატრის მოღვაწენი განტევების ვაცად გამოიყენეს. სხვებიც. ახლა მე ესენი უფრო მეცოდებიან. ასეა და რა ვქნა. რატომ? როგორ გითხრა... მეორად საქონელს მაგონებენ და იმიტომ. დაჭმუჭნულებსა და მიგდებულებს... თუმცა, ნახმარ საქონელს გარეცხავ, დააუთოებ და ისევ ჩაიცვამ. არც ნახმარი ქალია დღეს დიდი პრობლემა. ასეა სამწუხაროდ. ტრაგედია სხვაა, უფრო ღრმა... ყველაფერს ვერ იტყვი, ძმაო.

მემედ აბაშიძე – დიდი ილიას ერთგული მოწაფე და თანამოდარდე მისივე ქუჩის ბნელ ჩიხში ზის, ხელში საქართველოს ისტორიის წიგნი უჭირავს და უხმოდ ტირის...

ცურვა მიყვარს. კროლი – ჩემი სტილია. წყალში ვერ იმღერებ, ცხადია. მაგრამ როცა მშვიდი და სუფთაა ზღვა, მივცურავ და ვგრძნობ, როგორ მეალერსება იგი. ყოველი ჩემი მოძრაობაც ალერსია. ასე ვეფერებით ერთმანეთს მე და ზღვა. ეს უკიდეგანო სივრცეც ჩემი სტიქიაა და მე სიმღერას ვიწყებ – უხმოდ, ვწერ – უსიტყვოდ, ვხატავ უყალმოდ. ზღვაც ჩემი სამუშაო ოთახია. აქ წარმოსახვები ძლიერდება... მე მივცურავ... მივცურავ... უკან არ ვიხედები. რა დამრჩენია იქ? არაფერი. სრულიად არაფერი!... უკვე საკმაოდ შორსა ვარ. ზურგზე ვწვები. მაღლა ცაა და დაბლა – მე. თვალებს ვხუჭავ და ასე მგონია, უსასრულობაში მივფრინავ... უცებ წყნარი მუსიკა მესმის. ეს ზღვის სიმღერაა.

– მოგისმენია იგი? არა?...

– შორს წამოსულხართ!

ქალის ხმაა, რბილი და წკრიალა – ნაზი ვოკალიზივით. ჩემგან ათიოდე მეტრის მოშორებით მოცურავს. ძალიან ლამაზია, ნამდვილი... ზღვის ღმერთქალი.

ვახტანგ ახვლედიანი

ნოველა

# ჩაძირული კაცი და ნიმფა

ასლან კაკაბაძეს – ძმასა და მეგობარს



– ნიმფა ხართ? – ვეკითხები.

– ჰო, – ამბობს და იცინის. – ერთად დავბრუნდეთ, კარგი?

– კარგი.

ჩემს გვერდითაა. კი არ ცურავს, სრიალებს. ზღვისფერი საბანაო კოსტუმი აცვია. „თუ მაგასაც კოსტუმი ჰქვია...“ მაგრამ უხდება ძალიან. ისე ამოძრავებს ხელებსა და ფეხებს, ცოცხალი არსება კი არა, მომართული მექანიზმი გეგონება. „ეს რა წამომცდა, – თავს ვსაყვედურობ, – ამისთანა ქალის მექანიზმთან შედარება მკრეხელობაა!“ გვერდიგვერდ მივცურავთ. არა, ის ცოტა უკანაა. ვხვდები მაკონტროლებს, არ სურს მიმატოვოს. ისევ სიმღერა მიახლოვდება... ქალი მქრქალდება... იკარგება... ასე მგონია, ზღვა და ცა შეერთდა და უსაზღვროებაში მივცურავ ახლა. ვოკალიზი ძლიერდება, ძლიერდება... მერე ისევ მქრქალდება, იცრიცება... სტოკატოში იკარგება...

ვზივარ ჩემს ოთახში და ვხატავ. მინდა ის ხილვები აღვიდგინო. არაფერი გამომდის. მუსიკას რა ვუყო, ჩემო ძმაო, სიმღერას რა ვუყო? ქალის სხეული ზღვის გამჭვირვალე სილურჯეშია გაღვრილი. წარმოსახვა ძლიერია. მისტიკური. საღებავებს ვერ ვიმორჩილებ. მუსიკა ქალის და წყლის მოძრაობაშია. ვცდილობ, ნახატით გადმოვცე, მაგრამ... გავაგონებ სხვას? სახის ესკიზებს ცალკე ვაკეთებ – პასტელით. პასტელი ჩემი საყვარელი საღებავებია. თვალებიც ლურჯი ჰქონია. თავისთავად გამოვიდა ასე. ცოტა მწვანეც ურევია. ლურჯ-მწვანე. დიდი და ფიქრიანი.

მობილური ატყდა.

– გისმენთ.

– როგორ ბრძანდებით?

– გმადლობთ... ვერ გიცანით...

გული გასკდება სადაცაა... ისაა, ჩემი მხსნელი ნიმფა. მისი ხმაა. საუკუნის შემდეგაც არ შემეშლება. მას შემდეგ თვეზე მეტია გასული, ახლა რატომ გავახსენდი? ვხატავ და იმიტომ?! ჰო, ალბათ... მაგრამ, საიდან იცის?...

– მატყუებთ, – იცინის, – ტელეფონითაც არ გამოგდით ტყუილი.

– ძალიან მინდა, გნახოთ, – უცებ ვეუბნები, – დიდი ხანია...

– დღეს არა, ცოტა მოგვიანებით.

– მოგვიანებით როდის?

– დაგირეკავთ.

– სახელი მითხარით...

– ნიმფა. სჯობია, თქვენთვის ასე დავრჩე.

გათიშა.

ახლა სრულ რეალობაში ვარ. ნახატებს ვათვალიერებ. როდის მოვასწარი ამდენი? ერთ ფურცელზე მოცურავე ქალის სახეა სრული ფოკუსით. პირდაპირ თვალებში შემომყურებს. თითქოს რაღაცას მთხოვს, მარწმუნებს, მიბრძანებს... ისეთი განცდა მაქვს, ორივენი სიღრმეში ვიმყოფებით. ზედაპირი არცთუ ძალიან მაღლაა... ვიძირები?! ქალის სახე და ბუშტულებია... მისი არა, ჩემია ბუშტულები...

სული მეხუთება. აივანზე გავდივარ. აქედან მოშრიალე პალმების მწკრივები, პარკის ბილიკები და ზღვა მოჩანს. უყვარს ბატონ მიშას ამ ბილიკზე ჩვეული სიჩაუქით ჩაქროლება. კი არ დადის, ურა კვიცივით მიხტუნაობს!.. რამდენიმე საათით ადრე მათხოვრებს გარეკავენ ბილიკიდან და მიმდებარე ტერიტორიიდან. რა საჭიროა, ბედნიერმა პრეზიდენტმა იხილოს თავისგან გაუბედურებულ-დაბეჩავებული ადამიანები. ადრიანი დილაა. ზღვა წყნარია და მოალერსე. უკვე რამდენიმე დღეა, ერთი ჩემებურად არ გამიცურავს. სული და სხეული მთხოვს, ზღვაც მეძახის. პირსახოცს ვიღებ. ჩემებს ჯერ სძინავთ, ამიტომ ფეხაკრეფით გავდივარ. პლაჟზე კანტიკუნტადაა მოგანავეები. გამამხნევებელ ვარჯიშებს ვასრულებ და წყალში შევდივარ. წყალი სუფთაა და გამჭვირვალე. კენჭებს დაითვლი. მივცურავ. სხეული თავისუფლდება და ლაღდება. ზომიერად ვსუნთქავ. ჩემ წინ თევზები დახტიან, მზის პირველ სხივებს ესალმებიან. უკვე საკმაოდ შორს ვარ. შორიახლო ჩქერებს ვხედავ – თევზების გუნდია ნაღდად. ვყვინთავ და მათკენ მივსრიალებ. ჩემკენ მოცურავენ თურმე. იმხელა გორგალი უცებ შეკრთება და კურსს იცვლის. წამში უჩინარდება. ზურგზე ვწვები. უძიროა ზეცა, ერთი ფთილაც არსად ჩანს. მე, ზღვა და მზე ვართ ახლა ერთად. აქ გამომეცხადა მშველელად ჩემი ნიმფა. ახლა სად არის ნეტავ? მისი სახე მინდა გავიხსენო, მაგრამ არაფერი გამომდის. სხეულს ვხედავ, სახე – გამირბის...

სამეგობროში იყო ერთი, ძმობას მეფიცებოდა სულ. ერთ-ერთ ნოველაში, მაქვს ასეთი ფრაზა: „თუ გინდა კარგად იგრძნო თავი, უნდა გაგიჟდე, მოკვდე ან...ხელისუფლებაში მოხვდე“. მან ამ სამი გზიდან მესამე ირჩია და საკუთარ წარწყმედას მოაწერა ხელი. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს დიდი თანამდებობაც მიიღო. ბუნებით უნიათო იყო. უინიციატივო. რით მოაწონა თავი მაღალ ხელმძღვანელობას, არ ვიცი. არა, მთლად უნიჭოც არ ეთქმოდა. ერთი თვისება უმაღლესად ჰქონდა განვითარებული – ჩაშვება, დაძირვა. თუ ვინმე თავს გამოიჩენდა და უფროსობის ყურადღებას დაიმსახურებდა, მაშინვე მომართავდა ბუნებისგან ბოძებულ იმ ერთადერთ ნიჭს. მრავალპერსონაჟიან სპექტაკლს ჩაიფიქრებდა, დადგამდა და გაათამაშებდა. მსხვერპლსაც ჩააბამდა, გახლართავდა, თვითონ კი კეთილისმყოფლად მოაჩვენებდა თავს. საბრალო გაოცებასაც ვერ მოასწრებდა, უკვე დანესტრილ-დაგესლილი და შერცხვენილ-დაძირული იყო. გარეგნულად როგორ გამოიყურებოდა? მე ვიტყოდი, საკმაოდ სასიამოვნოდ. იცნობ იმას... ერთხელ მეც ჩამაბა ასეთ სპექტაკლში. ხლართებში გამხვია. დაძირვა თითქმის გარანტირებული მქონდა. შენ იცი ჩემი ხასიათი, უკიდურეს მდგომარეობაში რაღაც შემომენთება ხოლმე. თავისივე საცეცების მსხვერპლი აღმოჩნდა. ახლა რას აკეთებს? ახალგაზრდობას ეთიკასა და მორალს ასწავლის.

შინ ვბრუნდები და აბაზანაში შხაპს ვივლებ. ეჰ, რამდენიც უნდა ეცადო, ასაკი თავისას შვრება... სახეზე ღარები მომძალვია, თმაში შავი სანთლით საძებარი მაქვს. ადრე ფოტოატელიეებში შესვლა მიყვარდა, ახლა, რამდენი წელია, სურათი აღარ გადამიღია. ცუდია სიბერე, განსაკუთრებით, ჩვენს სინამდვილეში, ფიზიკურად, მორალურად და სოციალურად დამცირებულს ნიშნავს...

სამუშაო ოთახში შევდივარ. ვხედავ, ერთი ფურცელი მაგიდის ქვეშ, კუთხეში შეყუჟულა. ვიღებ. ნახატის სიუჟეტი გამაოგნებელია... პლაჟზე მამაკაცია გაშოტილი. ეს მე ვარ. პირაღმა ვწევარ. შორს, სივრცეში, ქალი მიაბიჯებს. უფრო – მიცურავს. ნახატს ვაკვირდები და ვხვდები, მიხსნა და წავიდა. გონებით ვხედავ მიმავალს, ამიტომაცაა სივრცეში ამაღლებული...

იმ პირველი საუბრის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა. არ მეხმიანება. თანდათან ეჭვი მიპყრობს, იქნებ ჩემი ატკივებული გონების ფანტაზიაა ყოველივე? იქნებ, ახლაც ფსკერზე ვაგდივარ და სულთმობრძავი ამაოდ ველოდები ჩემი ნიმფის გამოცხადებას?

ტელეფონის ზარია. მაპატიე, ძმაო, უნდა შევწყვიტო შენთან ბაასი.

გული მიგრძნობს, ისაა, ის!..

ქ. ბათუმი.

## პოეზია



დილარ ივარდავა

# ახალი რვეულიდან

### აღვიღოთ ხრმალი

დოლაბისგვარად
მატრიალებს ჟამი მსახვრალი,
ატეხილ მზიკთა
გაათრთება შემომესია, –
ბობოქრობს სევდა ავბედითი
გულზე სახალი
და მე გიჟივით ავიჩემე
ეს პოეზია!
ვის უნდა ლექსი,
როცა პური გახდა საშური,
არვის სწყურია
საკანს შიგან თავისუფლება,
რა რიგ ჩამკვდარა
წინაპართა გულმხნე „ლაშქრული“,
კვლავ გადარჩენის ინსტინქტებით
ცა იქუფრება!
გადაჭედილა საქართველო
ბოგანოებით –
ქალაქში გასვლა
თუ ხარ კაცი – შეგეზარება!
ხვალის თენება
ბაზარია ამაოების,
არარაობის მოსვლა გვამცნეს
მწუხრის ზარებმა!
წელში მოდრეკა შიშნეული –
შეკვეცა ფრთების
უდღეურ მმართველთ
აქვთ იდეა მოღალატური –
სარჩობელებად ჩამოშალონ
მზის ჟღალი თმები –
უიმედობა გახლავთ სწორედ
ამის დასტური!
ქვაბავაზაკთა უსასრულო
სურვილთ კიდება –
განფენილია თალხისფერად
სოფლად, ქალაქად;
ხარხარებს ეშმა, სისხლი წვიმს და...
ცა იბინდება –
უნამუსობის არვინ ფიქრობს
წამით ალაგმვას!
შენ რა რითმები აიჩემე –
ვიღას დასცინი,
აღიღე ხრმალი,
რომ სიკვდილი არ დაგაბრალონ!
რა გელექსება, როცა მტერი, როცა მაცილი –
იმედის ბოლო სხივს გიკორტნის
კაცო – საბრალოვ!

### ვერ გაგვიხმეს

მეცხადება ძილშიც სერაფიტა,
არმაზი და უძველესი მცხეთა,
მტკვარი ქალაქს ალხისაგან ფილტრავს,
ჯვრის კორტოხზე აბრეშუმობს ზეცა.
ზედაზენზე შეფენილი ნისლი,
ნისლია თუ წინპართა სუნთქვა; –
დანინასთან რა ჩურჩულიც ისმის,
ეგ ექოა – წინაპრებს რაც უთქვამთ...
აინინას ცრემლთა მძივებს, ნანა,
მიმოფანტავს მარგალიტთა წყებად,
ზადენ შიგან ხსოვნამ დაივანა,
პიტიახშის ქართი – აქ იწყება!
ლერწმის ფესვებს ჩაჰკირვია ძვლები,
აი, მიწა, მისხალ-მისხალ ოქრო,
გრიგალებშიც თუ კი ადრე ვძლებდით,
უსათუოდ უნდა ვიბობოქროთ!
ქართლის ჭირი არ მასვენებს ძილშიც,
ცხადში ბორჯი – ლოდებს ლოდზე მკიდებს,
ჩემი გენი –
უძველესი ჯიში –
დაუხვდება ათასნაირ სკვითებს!
ძნელ გამოცდებს გაუძელ და... გავძლებ!!!

რწმენა მძლავრობს ჩემში ერთადერთი,
ჟამის სუსხი ვერ გამიხმობს ვაზებს –
რადგან ჯილდოდ ის მარგუნეს ღმერთის!

### ყველა ქართველი

იწვის სხეული, ვითარც სანთელი,
ჯერ ვერ მაქრობენ მღვრიე წვიმები,
მჯერა, ბოლომდე წრფელი სათქმელი
თუ არ ვთქვი – წამში გავიწირები!

ცეცხლად მოედო სულ გეჰენია,
მინათდებიან გრძნობის კარები,
რა უძვირფასესს განძად გვშთენია
დიდ წინაპართა სიბრძნის კარედი!

მათშია, მათში – ანიც და ჰოეც, –
უკვდავთა ხმები მათგან მომესმის, –
ყველა ქართველი ჰყავი გამგონედ
უფალო, ხმიან წინაპრის ფესვის!

### სასაფლაოზე

ემატება ბორცვებს ბორცვი,
სადაც დუმილია სრული, –
ზოგი – მკვიდრი ჩემი ხორცის
და ზოგი კი – მღელვარ სულის...
მათთვის დღესაც წელში ვწყდები
და ჩემი გზაც მათთან მიდის...
უქმად გახარჯული წლები
თავს დამადგა ხინჯის ბინდით!
– ინდი-მინდი, ფერად შინდი –
დღესაც ვცოცხლობ მათზე ლოცვით...
მზის ქვეშ დარდი მტანჯავს დიდი –
ჩემი სულის,
ჩემი ხორცის!..
და ჩემი ხმაც – ჰაი, გიდი,
ნუ ჰქენ ექოდ დღის ხორხოცის!

### ციცაბოებზე

გიგი ხორნაულის წიგნის
„ნეტამც მოგეკალ“-ის გამო

შენი ცხოვრების შიბ-ბილიკები...
ჯეკ ლონდონის გზა... ხიფათი ირგვლივ;
მუდამ გასცემდი, თავად იკლებდი –
ბედით – ბეწვის ხიდს ეკიდე, გიგი!
რაც სულში ფესვობს იმას ვერავინ
ვერ გადაწონის ოქრო და ვერცხლით, –
ჟამი გვეწვია, ჟამი – ვერანი,
თუმც ჯერ ანათებს ზევსური ცეცხლი!
შეკრულო ნერვით, ურღვევი გენით,
ეროვნული გზა მუდამ გწყალობდეს,
მუსაიფობდეს ქართული ენით
კაწალხევი და შენი საორბე!
წყაროთა რუკრუკს, კოდალას კრუალს
ახლდეს ვნებათა შეწალიკება,
შენგნით გათელილ ხელხუთებს – უფალს –
ნაღდთა მარეკთა თვალი სჭირდება!
აწ შალდაყიან ჭალაში ვწევართ,
დღე – დღევანდელი ფითრ-შამბნარს ელის –
თავისუფლების სანუკვარ მწვერვალს
გიგი, ილიას გზნება უშველის!

### ტკივილიანი ლექსი ზუგდიდ-ქალაქს

მძაფრი სიმყრალე მოჰყვა მოლოდინს,
სარეველამ ხომ წალეკა ყანა;
წაჰგვარა ჟამმა ქალაქს ბომონდი
და უვიცები ზედ მიაყარა.
მოისრა უცბად განმსჯელთა ნიჭი...
სახედრის ყროყინს სადადიანომ
მიაპყრო ყური და ხეპრეთ ჭრიჭინს
დაერთო ყველას სადარდიანო!
ვეღარ ალმასობს ტომი – ფიცხელი,
ეტყობა ჯანი გაუშრა საწყალს;
წრიალებს, როგორც დენის მრიცხველი
და აფიქსირებს მას – რაიც არ სწამს!
ადრე სამოთხე, მართლაც სავანე –
იყო კერია ნიჭიერების –
დღეს ვიგინდრებმა დაასამარეს
და გაუხუნეს სპექტრი ფერების!
დღეს რაა უმი ვეღარ უცვნიათ,
ჰაი, დედასა! რას არა ნახავ?!
თურმე „ვარდების რევოლუცია“
კაცს ზეზეულად უღმერთოდ მარხავს!
ჩემს გარდაცვლილ ძმებს –
უტყუარ მოყმეთ –
ვეძახი, ვუხმობ, მაგრამ ამაოდ,
დღევანდლობაზე რას უნდა მოვყვე,
აწ განწირულთა ხრამზე ვქანაობ.
მავანს რას ვეტყვი, რამეს გაიგებს?
აქ ყველა თავის საშოვარს ჩიჩქნის,
როგორ წაართვა არსთა გამრიგემ
ამ უბადრუკებს მამულზე ფიქრი?!
სატანამ ასე როგორ დაგთოფათ –
შხამი მოასხა კოლხეთის წიაღს, –
მოჰგავს ქალაქი ღია სარკოფაგს,
რაშიც სტომაქის მონები ყრია!

## ცხოვრების ერთი სურათი

**დარბაზი ფეხზე იდგა. იმაზე საუბარი, რომ ჭერი ჩამონგრევაზე იყო, ზედმეტად მიგვაჩნია – ეს, ყველასთვის ცნობილია, გაცვეთილი ჰიპერბოლაა და მისი გამეორება შეიძლება არც ესიამოვნოთ კიდეც ამ საღამოს ჭეშმარიტ შემოქმედთ.**

აღფრთოვანება კი, მართლაც, სასწაულებრივს ჰგავდა.

კი, როგორ არა, ეს იყო ზღაპართან გათანაბრებული ხელოვნება, როცა ისიც კი ვერ გაგირჩევია – ყოველივე ამას ცხადად უმზერდი თუ სიზმარში. მაგრამ ხომ უმზერდი, რასაც უმზერდი?!

უმზერდი კი უმაღლესი დონის ხელოვნებას, რეალურ ხილვასა და ადამიანის ფიზიკურ (და არა მხოლოდ ფიზიკურ) შესაძლებლობათა ნაზავს, აგერ შენ თვალწინ რომ ხდებოდა.

ეს მარტო ამ დარბაზში შეკრებილთა განწყობილებასა და შთაბეჭდილებაზე როდი გელაპარაკებით. ეს ყველა იმ დარბაზისა და სცენის განზოგადებული, თუმცა ყველა მათგანიც ცალ-ცალკე

– რაო, „სარკეშიო“? – წამოიძახა ხმამაღლა.
– ახლა „სარკეში“ არა ვართ?!

„უნდა მოვნახო ნონა“, – ეს უკვე გაიფიქრა და დაიწყო მომსახურე პერსონალის მეხსიერებაში აღდგენა. თავად ნონა გაიხსენა, თაიგულით რომ მიადგა სცენაზე, თუმცა აქ, რესტორანში რაღაც, არ ახსოვს, თუ დაინახა.

დამთავრდა ბანკეტი. კარგ ხასიათზე იყო.

ყველა რომ წავიდ-წამოვიდა, თავისიანებთან რაღაც მოიმიზეზა და დარჩა. მარტო.

მონახა რესტორნის მიმტანების უფროსი:

– როდის ამთავრებთ მუშაობას?

– უკვე იხურება რესტორანი. ყველა სტუმარი წავიდა. მხოლოდ ჩვენღა დავრჩით.

– დიდი თხოვნა მაქვს...

– ბრძანეთ, ბატონო, – ცოტა უკმაყოფილო ტონი იგრძნო ხმაში თენგიზმა.

– თქვენ რამდენი ბრძანდებით, მიმტანებთან ერთად?

# გაწბილება? მოდით, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ



მაინც განსაკუთრებული, გამორჩეული და ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული, საერთო აზრი იყო, როცა არც ერთმა მათგანმა სხვისი არაფერი იცის და უმზერს, აღიქვამს, შეიგრძნობს სისხლითაც და ხორცითაც იმას, რაც დღეს წარმოუდგინეს, რაც იხილეს და რისგანაც ჯერჯერობით ვერ გათავისუფლებულან, თავი ვერ დაუღწევიათ.

ცეკვა ბევრი უნახავთ – ხალხურიც, კლასიკურიც, საოპეროც, სპორტულიც, საკუთარიც და სხვა ხალხებისაც, მაგრამ ეს...

მოდით, ნუღარ გავიმეორებთ, ნუ დავწვრილმანდებით.

სცენაზე იყო... ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ცეკვის ანსამბლი!

და, ვფიქრობთ, ყველაფერი გასაგებია.

სცენა აივსო თაიგულებითა და გვირგვინებით.

როდესაც შეწყდა მათი შემოტანა და ფარდა საბოლოოდ უნდა დაშვებულიყო, სცენაზე გამოჩნდა, არცთუ დიდი თაიგულით, ახალგაზრდა ქალი, ცეკვის ანსამბლის მონაწილე გოგონების ტანკენარობით, თუმცა გაცილებით შეზღუდული ტანთსაფარველით, მათსავე სილამაზითაც და განსხვავებულითაც.

მან ყველას აუარა გვერდი და თენგიზს მიადგა.

– გთხოვთ, წაიკითხოთ ბარათი, თაიგულს რომ ახლავს.

მისი წაკითხვის არც საშუალება იყო და არც დრო.

სურვილი?!

დაღლილი იყო – ამ მდგომარეობის გამომხატველი ყველა განზომილებით. ბარათი ამოიღო თაიგულიდან, ჯიბეში ჩაიდო და ყველასთან ერთად გავიდა კულისებში.

ის გაახსენდა კონცერტისშემდგომ ტრადიციულ ბანკეტზე, როცა უკვე კარგად იყო შეზარხოშებული.

**„თქვენ უკვე კარგად გიცნობთ, თუმცა სახელი არ ვიცი. მოხიბლული ვარ თქვენით ყოველმხრივ. გამოგარჩევთ ყოველთა შორის. მიყვარხართ ცალმხრივი სიყვარულით. თქვენი ერთი კოცნა მთელი სიცოცხლე გამყვება თან. მაგრამ სად თქვენ და სად მე – უბრალო მიმტანი რესტორან „სარკეში“?.**

**ნონა“.**

ესიამოვნა, რასაკვირველია, თუმცა განსაკუთრებული ვერაფერი დაინახა ამაში –თაყვანისმცემლები არც მას და არც მის კოლეგებს ანსამბლში არ აკლდათ. მაგრამ...

– სულ ოცდახუთი.

– თუ შეიძლება, რომ იყოთ ჩემი სტუმრები?

– ვერ გავიგე, – კიდევ უფრო იმატა სიმკაცრემ მიმტანების უფროსის ხმაში.

– ნუ მიბრაზდებით. მინდა, დაგპატიჟოთ ოცდახუთივე.

– ეს როგორ?

– მარტივად: სუფრაზე იქნებით თქვენ და მარტო მე.

და სანამ დიასახლისი კიდევ იკითხავდა რამეს, დაუმატა:

– ვიქნებით სუფრაზე ოცდაექვსი კაცი და ყველას წინ იქნება თითო ბოთლი შამპანური და შოკოლადი. დანარჩენი – თქვენ იცოდეთ – რაც გინდათ, დაუმატეთ.

– ძალიან ძვირი დაჯდება, ბატონო, – უკვე მორიდება გაჩნდა ხმაში.

– მაგაზე ნუ იფიქრებთ. წინასწარ ვიხდი.

გამთენიისას აიშალნენ სუფრიდან.

– ასეთი საღამო ჯერ არ მქონია...

– ეს სხვას რომ ეთქვა, ვერ დავიჯერებდი...

– ამას ქართველი კაცის მეტი ვერავინ მოიფიქრებდა...

– ეს მხოლოდ ბატონ თენგიზს შეეძლო.

ისმოდა სუფრიდან წამოშლილი, ერთმანეთზე მომხიბლავი გოგონების ხმები, რომელთა კოცნასაც ვერ აუდიოდა თენგიზი – ბედნიერი, ამაყი, ლაღი.

თუმცა...

თუმცა ის, რომ მაინც უკმაყოფილო იყო:

არა იმიტომ, რომ კაპიკი ფული აღარ დარჩა და ხვალ ბიჭებისთვის დასჭირდებოდა ჯიბის ფულის თხოვნა...

არა იმიტომ, რომ რეპეტიციამდე გამოძინებას ვერ მოასწრებდა...

არა იმიტომ, რომ...

ესენი რა სალაპარაკოა. ამათ ყველაფერს მოევლება – დიდი არაფერია.

აი, იმიტომ, რომ...

ეს იყო ბედის ირონია – ნონა სუფრაზე არ ყოფილა.

სასტუმროსკენ მიმავალს აკაკის სიტყვები ამოუტივტივდა გონებაში:

**„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი
გაახარებს ვინმეს განა?!“**

ნომერში შესულს გაშლილი სუფრა ორი ბოთლი შამპანურით, შოკოლადი და...

ნონა დახვდა.

**ზურაბ ლომიძე**

## იოგა მეხსიერებას აუმჯობესებს



ზომიერი ფიზიკური დატვირთვა იცავს ტვინს სიბერისგან, მიაჩნიათ ამერიკელ ნევროლოგებს. სწრაფი სიარული, იოგა, ცურვა — აუმჯობესებს საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანების მეხსიერებას და აზროვნებას. ხანდაზმულ მოხალისეებს, რომლებიც კვირაში 4-ჯერ 60 წუთის განმავლობაში აწარმოებდნენ ველოტრენაჟს, აუმაღლდათ სწავლისა და დაგეგმვის უნარი, ისინი უფრო ადვილად ახერხებდნენ კონცენტრირებას კონკრეტულ ამოცანებზე. „შეიძლება საქმე ის იყოს, რომ აერობული დატვირთვები ამაღლებენ ძლოვილების მგრძნობელობას ინსულტისადმი, — ვარაუდობენ მკვლევარები. — ეს ჰორმონი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩვენი სხეულის ყველა ორგანოს, მათ შორის თავის ტვინის ენერგიით უზრუნველყოფაში“.

## სტაბილურობა პენსიის წინ იწყება

კანადელმა მეცნიერებმა დაადგინეს, თუ როდის იწყებენ მამაკაცები თავიანთი ცოლების დაფასებას. თურმე, ფულის მომპოვებელ მამაკაცებს ურჩევნიათ ფული ცოლებს მისცენ. თუმცა არც უანგაროდ, არამედ იმის იმედით, რომ მძიმე წუთებში ცოლები მათ გვერდით დადგებიან. გახდებიან ერთგული მოახლეები ავადმყოფობის დროს, ან დაეხმარებიან, როდესაც მამაკაცებს შეექმნებათ პრობლემები სამუშაოსთან დაკავშირებით.

ოჯახში ფულის განაწილება, როგორც წესი, განსაზღვრულია საქორწინო კონტრაქტში. და თუ მამაკაცი ბევრს ავადმყოფობს, ან ძალიან ხშირად უმუშევარია, ქალს აქვს უფლება მოითხოვოს კონტრაქტის გადასინჯვა. ალბათ, სწორედ ამიტომ კანადელი მამაკაცები თავიანთი ცოლების დაფასებას იწყებენ მძიმე ავადმყოფობის ან შრომის უუნარობის დროს. ქორწილები კი ყველაზე სტაბილური ხდება, როდესაც მამაკაცს პენსიამდე სულ რამდენიმე წელი რჩება. ამ ასაკში ძლიერ სქესს ყველაზე ნაკლებად ახასიათებს ავანტიურები და ყველაზე მეტად აფასებს სიმშვიდესა და წინასწარ განჭვრეტას.

## დოზები მსუქნებისთვის



სიმსუქნის ეპიდემიასთან დაკავშირებით დროა გადავსინჯოთ ანტიბიოტიკების სტანდარტული დოზები, მიაჩნიათ ინგლისელ მეცნიერებს. ზედმეტწონიანი პაციენტები ძალიან ბევრია, წამლის ტრადიციული დოზები მათ ყოველთვის როდი ეხმარება. ამჟამინდელი დოზები არა მხოლოდ ამცირებენ მკურნალობის ეფექტიანობას, არამედ მათ შეუძლიათ გამოიწვიონ ბაქტერიების აუთვისებლობა პრეპარატებისადმი.

ინგლისელების 25 პროცენტს ზედმეტი წონა აქვთ. 1993 წელს ასეთები 15 პროცენტი იყო.

## მთარგმნელი გრძნობების ენიდან

ამერიკელი მეცნიერების მიერ გამოგონებული ახალი მოწყობილობა დაეხმარება აუტიზმით დაავადებულ ადამიანებს ურთიერთობაში. აუტისტების ერთ-ერთი თავისებურებაა — ეგრეთ წოდებული სოციალური რეპლიკების აღქმის უუნარობა. მათ არ შეუძლიათ აღიქვან გარშემომყოფთა ემოციები, ვერ გრძნობენ, რომ თავი მოაბეზრეს მოსაუბრეს, იწვევენ მის მოწყენილობას ან გაღიზიანებას. შედეგად ყველა გაურბის მათ.

პორტატიული მოწყობილობა შედგება მინიატიურული ვიდეოკამერისგან, რომელიც მიმაგრებულია სათვალეებზე და დაკავშირებულია გადასატან კომპიუტერთან. პროგრამა აკეთებს მოსაუბრის სახის გამოსახულების ანალიზს და ამოიცნობს არა მხოლოდ ექვს ძირითად ემოციას: ბედნიერებას, მწუხარებას, რისხვას, შიშს, გაოცებასა და ზიზღს, არამედ უფრო სათუთ გრძნობებსაც — უთანხმოებას, აზროვნებას, გაუბედაობას, დაინტერესებას... თუ აუტიზმით დაავადებული არასწორ რეაგირებას ახდენს მოსაუბრის ემოციებზე, კომპიუტერი მას ამის შესახებ აფრთხილებს.

### მკითხველთა წერილს უპასუხებენ სპეციალისტები

## ტკბილი ცდომილება



**ბევრი ფიქრობს: ტკბილს ცოტას შევჭამ და შაქრის დიაბეტით ავად აღარ გავხდებიო. სწორია ეს?**

**თამარ გ. სენაკი**

**გვიპასუხებს ენდოკრინოლოგი რობერტ მაღრაძე:**

— მინდა დაგამშვიდოთ — აქ პირდაპირი დამოკიდებულება არაა. სხვა საქმეა, რომ ტკბილეულის ზედმეტი მიღება — სხეულის ზედმეტი მასის გაზრდის დამატებითი ფაქტორია. ეს კი დიაბეტის განვითარების ერთ-ერთი ფაქტორიცაა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ზომიერება ყველგან საჭიროა.

სხვათა შორის, ჩვენ შაქრის დიაბეტიან პაციენტებს (მათ შორის პირველი ტიპის შაქრის დიაბეტიან ბავშვებსაც) ნებას ვრთავთ ჭამონ ცოტა ოდენობის ტკბილი. ნახშირწყლები ხომ აუცილებელია ნერვული სისტემისა და ტვინის სრულფასოვანი მუშაობისთვის. სწორად შერჩეული თერაპიის დროს შაქრის დიაბეტით დაავადებულთა სიცოცხლე ჯანსაღი ადამიანების სიცოცხლისგან პრაქტიკულად არ განსხვავდება. აი მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა ხშირად უფრო მაღალია, ვიდრე ჯანმრთელი თანატოლებისა. ისინი უფრო დისციპლინირებული და მოტივირებული არიან ავადმყოფობით — იზრუნონ თავიანთ ჯანმრთელობაზე.

## ინსულტი — ახალგაზრდების ჭირი

**ინსულტი ხანდაზმულთა ავადმყოფობად ითვლება. ახალგაზრდულ ასაკში ის გვხვდება?**

**თამაზი, ხულო**

**გვიპასუხებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ნევროლოგი თენგიზ გიორგაძე:**



— ინსულტის რისკის ერთ-ერთ ფაქტორად დიდი ხნის განმავლობაში მართლაც ასაკი მიაჩნდათ. ყოველი მომდევნო ათწლეული 20 წლის შემდეგ, ამტკიცებდნენ მეცნიერები, დაახლოებით ორჯერ ზრდის ტვინის სისხლძარღვის პათოლოგიის განვითარების ალბათობას.

ამჟამად ინსულტი წლიდან წლამდე ახალგაზრდავდება. ამერიკელი მკვლევარების მონაცემებით, ინსულტისგან 40 წლის ასაკში გარდაცვლილთა რიცხვი უკანასკნელ ხანებში გაიზარდა 200 (!) პროცენტით. ბევრია ინსულტის მსხვერპლთა რიცხვი ჩვენთანაც. იმ პაციენტებს შორის, რომლებმაც გადაიტანეს ტვინის სისხლის მიმოქცევის მწვავე დარღვევა, გვხვდებიან 20 და 30-წლიანებიც. ზოგიერთისთვის სახიფათო პროცენტის განვითარებისთვის გამშვები მექანიზმი გახდა ჰორმონალური კონტრაცეპტივების მიღება, სხვებისთვის — თავის ქალა-ტვინის ტრავმა, უბრალოდ კისრის მკვეთრი მობრუნებაც კი მანქანის ტარების დროს. ინსულტის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს გენეტიკური მიდრეკილება. იმის შესახებ რომ აღარ ვილაპარაკოთ, რომ ახალგაზრდები ბევრს ეწევიან, იყენებენ მეტ ალკოჰოლს, ცხოვრობენ უფრო სტრესულ ვითარებაში. ეს ყოველივე ნეგატიურად აისახება მათს ჯანმრთელობაზე.

## „მინუსი“ „პლუსზე“?



**სწორია, რომ ახლომხედველების მხედველობა ასაკთან ერთად სწორდება: „მინუსი“ უთანსწორდება „პლუსს“?**

**გიორგი, თერჯოლა**

**გვიპასუხებს ექიმი-ოფთალმოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი თეიმურაზ ბერიძე:**

— უნდა გაგაწბილოთ: როგორიც იყო ახლომხედველობა, ისეთივე დარჩება ღრმა სიბერემდე (თუ, რასაკვირველია, ეს პროგრესირებადი მისი ფორმა არაა). ასაკთან ერთად რაც იცვლება, ესაა მხედველობა ახლოს: 60 წლისთვის თვალის ცილიარული კუნთის დასუსტების ხარჯზე აკომოდაციის (ბროლის სიმრუდის შეცვლისა და ახლო გამოსახულების ფოკუსირების) უნარი სუსტდება. შორსმხედველებს — ადრე, ახლომხედველებს — გვიან. ექიმები ამას პრესბიოპიას (ანუ სიბერის შორსმხედველობას) უწოდებენ.

რაც შეეხება იმათ, ვისაც ახლომხედველობა აწუხებს, მისი სისუსტის კვალობაზე სათვალეები საჭირო არ არის. იმისთვის, რომ კარგად, თვალსაჩინოდ დაინახოთ 33 სანტიმეტრის სიშორით (ტექსტის აღქმის ოპტიმალური მანძილი), ახლომხედველობა არ უნდა გქონდეთ 3 დიოპტრზე მეტი. უფრო მეტი ახლომხედველობისთვის უახლოესი წერტილი ნათელი ხედვისთვის უფრო ახლოს მიგვაქვს თვალთან, რაც თვალის გარე კუნთების ზედმეტ დაძაბულობას იწვევს. სიტუაცია რომ არ გავამწვავოთ და შევქმნათ უფრო კომფორტული პირობები კითხვისთვის, ამ შემთხვევაში ახლომხედველი უსათვალოდ ვერ გადარჩება.

## მაჩოს მარცხი

მამაკაცებისთვის, რომლებიც დღეში ერთ კოლოფ სიგარეტს ეწევიან, იმპოტენტად გახდომის რისკი არამწეველებთან შედარებით ეზრდებათ 40 პროცენტით. ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ბრიტანელი მეცნიერები. ის, ვინც დღეში 20 სიგარეტზე ნაკლებს ეწევა, თავის რისკს ზრდის მხოლოდ 24 პროცენტით.

„ათეული წლების განმავლობაში სიგარეტები ვაჟკაცობის სიმბოლოდ ითვლებოდა, — ამბობენ მეცნიერები, — გავიხსენოთ მამაკაცი მაჩო რეკლამიდან. მაგრამ რეალური ფაქტები ასეთია: მოწევა ჰიპერტონიის ძირითადი მიზეზია“.



## საექიმო შეცდომა

ბელგიელი მეცნიერები 23 წლის განმავლობაში მიიჩნევდნენ, რომ მათი პაციენტი კომაშია, თუმცა მას ცნობიერება ჰქონდა.

სტუდენტობის დროს რომ ჰოუბენი ავტოკატასტროფაში მოყვა, და ექიმებმა გადაწყვიტეს — მისი ტვინი მკვდარიაო. მაგრამ ბელგიელის ტვინი აგრძელებდა ფუნქციონირებას ნორმალურად, თავად პაციენტი მთლიანად პარალიზებული იყო და თვალის დახამხამებაც არ შეეძლო.

ყველაფერი შეიცვალა, როდესაც ლიეჟის უნივერსიტეტის ექიმმა სტივენ ლორეიმ გადაწყვიტა პაციენტის ტვინის ტომოგრაფია. გამოკვლევის დროს გაირკვა, რომ რომის ტვინი შესანიშნავად ფუნქციონირებს.

ამჟამად ჰოუბენს სპეციალური კლავიატურის მეშვეობით უკვე შეუძლია წერა. „ავარიის შემდეგ მივხვდი, რომ ექიმები და მედდები ცდილობდნენ ჩემთან დალაპარაკებას, შემდეგ კი ყველამ დაკარგა იმედი, რომ კვლავ დამიბრუნდებოდა ცნობიერება. მთელი ამ ხნის განმავლობაში ვიწექი და ვოცნებობდი, რომ ოდესმე ჩემი ცხოვრება მოწესრიგებულიყო. გაჭირვება — ამ სიტყვით ვერ გადმოსცემ იმას, რასაც 23 წლის განმავლობაში განვიცდიდი. ის დღე, როდესაც ექიმმა ლორეიმ აღმოაჩინა შეცდომა დიაგნოსტიკაში, მეორედ დაბადების დღედ მიმაჩნია“.



## ვუნდერკინდების ტვინი

ბავშვების გონებრივი უნარის დონე დაკავშირებულია არა იმდენად მათი ტვინის მოცულობასთან, რამდენადაც მისი განვითარების დონესთან — ასეთი დასკვნა გააკეთეს ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებმა. მაგნიტურ-რეზონანსული სკანირების მეთოდის გამოყენებით მათ დაადგინეს, რომ ვუნდერკინდებისთვის ტვინის ქერქი უფრო თხელია, ვიდრე მათი თანატოლებისა. ქერქის გასქელება მიმდინარეობს უფრო ხანგრძლივად და ინტენსიურად, პიკს კი აღწევს 11-12 წლის ასაკში.

ამის შემდეგ ქერქის მოცულობა იწყებს სწრაფ შემცირებას. საშუალო უნარის ბავშვების ტვინის ქერქი თავდაპირველად დიდი მოცულობისაა, მისი სისქე იზრდება უფრო ნელა და ადრე აღწევს მაქსიმუმს.

ქერქის მოცულობის შემდგომი შემცირება, რაც ყოველთვის მოზარდის ასაკში ხდება, როდესაც წუნდებული ხდება „ზედმეტი“ უჯრედები და კავშირი მათ შორის, ჩვეულებრივ ბავშვებთან უფრო ნელა ხდება, ვიდრე ნიჭიერებთან.

მეცნიერთა აზრით, ვუნდერკინდ ბავშვებს უფრო სწრაფად უყალიბდებათ ცენტრები, რომლებიც არეგულირებენ ინტელექტუალურ აქტიურობას.

დიდი ტერორი?

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?

ლომინაძემ ერთხელ ორჯონიკიძეს მისწერა წერილი, რომელშიც იყო მკაცრი სიტყვები სტალინის წინააღმდეგ. ეშმაკი სერგო ამ წერილით სტალინთან მივიდა და აცნობა მისი მიმართულების შესახებ, თუმცა წერილის ტექსტის წაკითხვასა და პოლიტბიუროს წევრებისთვის მის ჩვენებაზე უარი თქვა. ამით ორჯონიკიძემ სტალინი მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. მან წარმოაჩინა თავისი ლოიალობა, თუმცა გენერალურ მდივანს წაართვა შესაძლებლობა, მოეხდინა რეაგირება წერილის ტექსტსა და მის ავტორზე. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ ახასიათებს ორჯონიკიძეს, როგორც გამოცდილ და გაიძვერა ინტრიგანს.

ორჯონიკიძეს ხშირად ერთგვარ პრაგმატულ ტექნოკრატად მიიჩნევენ, რომელიც ცდილობს დაიცვას საინჟინრო და ტექნიკური კადრები სტალინური ტერორისგან. მართლაც, ის მხურვალედ უჭერდა მხარს თავისი უწყების მუშაკებს. უჭერდა იმიტომ, რომ უწყება თავის საკუთრებად მიაჩნდა, რომელიც რაიმე ინსტანციის – პარტიული იქნებოდა ის თუ სახელმწიფო – კონტროლს არ ექვემდებარება. **„ორჯონიკიძე, –** ამტკიცებს ისტორიკოსი ო.ხლევნიუკი, **– იცავდა თავის „ტრადიციულ უფლებას – დამოუკიდებლად „დახვრიტოს და შეიწყალოს“ თავისი ხალხი“** („პოლიტბიურო. პოლიტიკური ხელისუფლების მექანიზმი 30-იან წლებში“ძ.

არის ერთი გონივრული ანდაზა: „ადგილი კი არ ამშვენებს კაცს, არამედ კაცი ადგილს“. ორჯონიკიძესთან დაკავშირებით ყველაფერი პირიქითაა. მას ამშვენებდა სწორედ „ადგილი“, დაკავებული პოსტი. თავდაპირველად რადიკალიზმის მკვეთრი წითელი ფერი, შემდეგ ვარდისფერი, ლიბერალური ტონი. 20-იანი წლების ბოლოს მას ეკავა სკპ (ბძ ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის თანამდებობა. ამ დროს ის იყო ინდუსტრიალიზაციის დაჩქარების მომხრე, იბრძოდა მრეწველობის ზრდის წარმოუდგენელი ტემპებისთვის. მაშინვე ის აქტიურად იბრძოდა აგრეთვე „მავნებლების“ წინააღმდეგ სამეურნეო სპეციალისტებს შორის. ამას მოითხოვდა საკონტროლო-დამსჯელი თანამდებობა. აი მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის თანამდებობამ კი მოითხოვა უკვე სხვაგვარი მიდგომა. ორჯონიკიძემ მოულოდნელად შეიყვარა სპეციალისტები და გამოვიდა მრეწველობის ზრდის ტემპების შემცირებისთვის. ამ ბოლო საკითხთან დაკავშირებით ის ეკამათებოდა ხოლმე მოლოტოვს, რომელიც, როგორც მთავრობის თავმჯდომარე, იცავდა საგეგმო კომიტეტის თვალსაზრისს, მთელი სახელმწიფოს სამეურნეო ინტერესებს. თუ მოლოტოვს მიაჩნდა, რომ აუცილებელია მრეწველობაში კაპიტალდაბანდების გაზრდა მისი სწრაფი ზრდისთვის, ორჯონიკიძეს სურდა, რომ თავის დარგში დაბანდებულიყო მეტი კაპიტალი, ზრდის ტემპი კი უფრო სუსტი ყოფილიყო. მიიღოს მეტი და იშრომოს ცოტა – ასეთი იყო ნებისმიერი ბიუროკრატიული სამემკვიდრეო მამულის (ვოტჩინისძ მფლობელის ფორმულა.

ორჯონიკიძის ერთ-ერთი უახლოესი თანამებრძოლი ს.ზ.გინზბურგი იხსენებს, თუ პოლიტბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე როგორ წარმოიშვა საჩვენებელი დავა სერგოსა და სტალინს შორის. თავისი ჩვეულების მიხედვით, სახალხო კომისარი მოითხოვდა კაპიტალდაბანდებათა გაზრდას. სტალინმა მაშინ თქვა: „კაპიკსაც არ მოგიმატებთ“. ორჯონიკიძემ ისე გააღიზიანა მაშინ სტალინი, რომ დაიმუქრა ცენტრალური კომიტეტის სპეციალური სესიის მოწვევით ამ საკითხის განსახილველად. მივაქციოთ ყურადღება ასეთ კაზუსს – „დესპოტი“ სტალინი ემუქრება „ლიბერალ“ სერგოს კოლეგიური ორგანოს მოწვევით. მერე რა? იღებს გამოწვევას? არა, გინზბურგის მოგონებით, ორჯონიკიძე სთავაზობს საგეგმო კომიტეტს შეამციროს და დააკონსერვოს რამდენიმე ობიექტი – კაპიტალდაბანდების გადიდებაზე უარის თქმასთან დაკავშირებით. ამით ცბიერი ინტრიგანი შეეცადა არა მხოლოდ შეემცირებინა თავისი სამუშაოს მასშტაბები, არამედ შესაძლო პასუხისმგებლობაც გადაელოცა საგეგმო კომიტეტისთვის. მაგრამ სტალინმა ამოიცნო ორჯონიკიძის ზრახვა და მოითხოვა, რომ თავად მას შეერჩია იმ ობიექტების სია, რომლებიც უნდა შემცირებულიყო ანდა მომხდარიყო მათი კონსერვაცია.

ორჯონიკიძეს არ ჩამორჩებოდა ყოფილი (მართლა ყოფილი?ძ აქტიური ტროცკისტი გ.ლ.პიატაკოვი, რომელსაც მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის მოადგილის პოსტი ეკავა. 1935 წელს მან დააყენა წინადადება, შეემცირებინათ სახალხო კომისარიატის ანგარიშგება სამხედრო პროდუქციასთან დაკავშირებით. ამას ასაბუთებდნენ თითქოსდა სახელმწიფოს უშიშროების მოსაზრებებით – საკითხი ხომ შეიარაღებასა და მასთან დაკავშირებულ საიდუმლოებას შეეხებაო. ამ ინიციატივის რეალიზაცია მიგვიყვანდა იქამდე, რომ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატი, ფაქტობრივად, აღმოჩნდებოდა საგეგმო კომიტეტისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის კონტროლის გარეშე, სადაც მიდიოდა ანგარიშგება. ამ ორი სტრუქტურიდან ინფორმაცია მიდიოდა სახალხო კომისართა საბჭოში. გამოდის, რომ პიატაკოვი (ცხადია, ორჯონიკიძის თანხმობით და მხარდაჭერითძ მიზნად ისახავდა თავისი სახალხო კომისარიატის „გათავისუფლებას“ მთავრობის კონტროლისგან.

ორჯონიკიძე „ტექნოკრატების“ ჯგუფს წარმოადგენდა. ისინი არ იყვნენ ისეთი გავლენიანები, როგორებიც რეგიონალები, მაგრამ მაინც ძალას წარმოადგენდნენ. „ტექნოკრატები“ საკმაოდ ხშირად დავობდნენ რეგიონალებთან – რესურსების გაყოფასთან დაკავშირებით (შემდეგ ამაზე კიდევ იქნება საუბარიძ. მაგრამ რეგიონალებსაც, „ტექნოკრატებსაც“ არსებითად ერთიანი სეპარატისტული პოზიცია ეკავათ ცენტრთან დაკავშირებით. ამიტომ ეს უკანასკნელები შეიძლება მივიჩნიოთ, თუმცა სპეციფიკურ, მაგრამ მაინც „მემარცხენე კონსერვატორების“ ჯგუფად.




არც კიროვს, არც ორჯონიკიძეს არ უცოცხლიათ 1937 წლის გაზაფხულის მოვლენებამდე, როდესაც „დიდი ტერორი“ მთელი ძალით გაჩაღდა. მიუხედავად ამისა, მათი პოლიტიკური პორტრეტების ანალიზი მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ისინი იმ რევოლუციური ბიუროკრატიის ნათელ სახეს წარმოაჩენენ, რომელიც ზეიმობდა 20-იან წლებში.

ახლა კი დადგა დრო, დავხატოთ „მემარცხენე კონსერვატორების“ მთელი ჯგუფის პორტრეტი.

### ბიუროკრატიზმის მეხოტბენი

მათი აზროვნების კონსერვატიზმი განსაზღვრავდა თავად სტატუსს ბიუროკრატიისა, რომელმაც რევოლუციის შედეგად მოიპოვა უზარმაზარი ხელისუფლება, რაც შეუპირისპირებელი იყო ჩინოვნიკების ხელისუფლებასთან. როგორც უკვე ითქვა, ბიუროკრატი თავისი არსით, შემსრულებელია, შემსრულებელს კი ყოველთვის უძლიერესი კონსერვატიზმი ახასიათებს.

მეორე მხრივ, ყველა წითელ რეგიონულ „ბატონს“ (უწყებებისაცძ ჰქონდა მდიდარი რევოლუციური წარსული, ისინი პარტიაში შევიდნენ 1917 წლამდე დიდი ხნით ადრე. იატაკქვეშა (ან ემიგრაციულიძ მუშაობისა და სამოქალაქო ომის გამოცდილებამ უზარმაზარი გავლენა იქონია მათს პოლიტიკურ თვალთახედვაზე. ეს კი, გასაგებია, კარგად იყო შეზავებული რევოლუციურ მოუთმენლობასთან და რევოლუციურსავე ძალადობასთან, ეროვნულ ნიჰილიზმთან და მებრძოლ ათეიზმთან.

„მემარცხენე კონსერვატორებს“ არ სურდათ რაიმე სერიოზული მოსახვევები – არც ტროცკისტული „პერმანენტული რევოლუციისკენ“, არც ნეპის ბუხარინისეული ჩაღრმავებისკენ, არც სტალინურ ეროვნულ-ბოლშევიზმთან შეხვედრა. მათ უნდოდათ, რომ ქვეყნის განვითარება დარჩენილიყო სადღაც პირველი ხუთწლედის დონეზე.

ეს დაჯგუფება ყოველთვის უწევდა წინააღმდეგობას სტალინის მიერ ჯერ კიდევ 1934 წელს დაწყებულ კონსტიტუციურ რეფორმას. ბელადს სურდა კანონმდებლურად განემტკიცებინა უარი მემარცხენე, ტროცკისტულ-ლენინურ კურსზე. პროლეტარიატის მოჩვენებითი დიქტატურიდან, რომელსაც აკონტროლებდა პარტიის მოჩვენებითი დიქტატურა, მას უნდოდა შეექმნა საერთო-სახალხო, ეროვნული სახელმწიფო. როგორც ცნობილია, საბჭოებში არჩევნებზე მუშის ერთი ხმა ითვლებოდა გლეხების ოთხ ხმად, რაც მეტად დამამცირებელი იყო და ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას მესამე ხარისხის როლში აყენებდა. ასეულ ათასობით კაცს საერთოდ ჩამორთმეული ჰქონდა საარჩევნო უფლებები. საკითხი შეეხება „ყოფილებს“ – მღვდლებს, აზნაურებს, მეწარმეებს, მეფის ჩინოვნიკებს, აგრეთვე მათს შვილებს. არჩევნების უფლება ჩამორთმეული ჰქონდათ კოლექტივიზაციის დროს გასახლებულ გლეხებსაც. თავად კენჭისყრა ხდებოდა – დავანებოთ იმას თავი, რომ იყო უალტერნატივო – ღიადაც, ცხადია, ასეთი პოლიტიკური ტექნოლოგია ასი პროცენტით უზრუნველყოფდა ადგილობრივი ბიუროკრატიის წარმატებას. სტალინმა გადაწყვიტა, ბოლო მოეღო ყოველივე ამისთვის და... გადაეყარა „რეგიონალების“ გააფთრებულ წინააღმდეგობას, რომლებსაც არ სურდათ ხელისუფლების დაკარგვა და უარი ეთქვათ ლენინური პრინციპებისთვის, რისი რეალიზაციაც მათ თავად ხელისუფლებამ დააკისრა. ეს ლეიბქვეშა ბრძოლა შესანიშნავად გააანალიზა ი.ნ.ჟუკოვმა თავის მონოგრაფიაში **„სხვა სტალინი“**.

ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის ივნისის პლენუმზე ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს არც ერთ მონაწილეს, გარდა მომხსენებელი სტალინისა, არ გამოუთქვამს გამოსვლის სურვილი ამასთან დაკავშირებით. ფორმალური მხარდაჭერის სიტყვებიც არ ყოფილა. ისე ჩანდა, რომ აპარატის მუშაკთა უმრავლესობამ სტალინის პრინციპებს ბოიკოტი გამოუცხადა. სტალინს, რასაკვირველია, შეეძლო ბრძოლაში ჩაერთო თავისი ერთგული ხალხი, მაგრამ მას აინტერესებდა მოესინჯა კონტროლს დაუმორჩილებელი აუდიტორიის რეაქცია.

სტალინს საბჭოების ყრილობის გამართვა კონსტიტუციის მისაღებად უნდოდა უკვე სექტემბერში. მაგრამ „რეგიონალების“ ერთ-ერთი წარმომადგენელი – უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე პ.ლუბჩენკო გამოვიდა წინადადებით – ყრილობა გადაეტანათ დეკემბრისთვის (არსებითად ეს გაჭიანურებასა და საბოტაჟს ნიშნავდაძ. და საბჭოების ცაკმა, რომელსაც თავად „რეგიონალები“ აკონტროლებდნენ, მხარი დაუჭირა სწორედ ლუბჩენკოს.

პლენუმის შემდეგ კონსტიტუციის პროექტის შესახებ აზრს გამოთქვამდნენ ძირითადად სტალინის გარემოცვის მოღვაწეები – მოლოტოვი, კალინინი, ა.ი.ვიშინსკი. რეგიონულმა ხელმძღვანელებმა კი საკავშირო განხილვა უბრალოდ უგულებელყვეს. იმ პერიოდის თავიანთ სტატიებსა და გამოსვლებში ისინი დემონსტრაციულად განიხილავენ ყოველდღიურ საკითხებს – პიონერთა სახლების ორგანიზაციას, ჭარხლის მოსავლის აღებას და ა.შ.

საბჭოების ყრილობაზე, რომელიც კონსტიტუციას ღებულობდა, „რეგიონალები“ (გრიადინსკი, გოლოდედი, რახმანოვი, კოსიორიძ თავიანთ გამოსვლებში ძირითადად საუბრობდნენ „მტრებთან ბრძოლაზე“. აღსანიშნავია, რომ ასეთ გამოსვლებს ტონი მისცა უკვე ხსენებულმა ლუბჩენკომ. სტალინისტები – მოლოტოვი, ჟდანოვი და ვიშინსკი, პირიქით, მტრებზე პრაქტიკულად საუბრობდნენ, აუდიტორიის ყურადღებას კვლავ და კვლავ დემოკრატიზაციის აუცილებლობაზე ამახვილებდნენ.

რეგიონული ლიდერების ოპოზიცია საკონსტიტუციო რეფორმისადმი სრულიად გასაგებია. ეს ხალხი მიეჩვია, რომ ყველაფრის სათავეში უნდა ყოფილიყო ყველა პრობლემის გადაჭრის ადმინისტრაციული მეთოდები.

დამახასიათებელია „რეგიონალების“ ქცევა კოლექტივიზაციის დროს. მათ თავიანთი ბიუროკრატიული სწრაფვით, რასაც აძლიერებდა რევოლუციური მოუთმენლობა, კრემლის მცდარი პოლიტიკა აბსურდამდე მიიყვანეს. მაგალითად, იმ დროს ცენტრალური შავმიწანიადაგიანი ოლქის ხელმძღვანელმა ვარეიკისმა თავის რეგიონში კოლექტივიზაციის პროცენტი 1929 წლის 1 ოქტომბრის 5,9-დან 1930 წლის 1 მარტისთვის 81,8-მდე გაზარდა. ეს მან თავისი ინიციატივით გააკეთა. თავდაპირველი გეგმა ითვალისწინებდა რეგიონში სრული კოლექტივიზაციის დამთავრებას 1932 წლის გაზაფხულისთვის. მაგრამ ვარეიკისმა ოლქის პარტიული აქტივის კრებაზე მოუწოდა განეხორციელებინათ იგი 1930 წლის გაზაფხულისთვის. ელეცკისა და კურსკის ოლქების ხელმძღვანელები შეეცადნენ მის გონზე მოყვანას, მაგრამ ვარეიკისმა განაცხადა: **„ხალხი, ვინც ამჟამად გამოდის სწრაფი, მაღალი ტემპის წინააღმდეგ, არის არა ფრთხილი, როგორც თვითონ უნდა წარმოგვიდგინოს თავი, არამედ ოპორტუნისტია, ნამდვილი ოპორტუნისტი“**:

კიდევ ერთმა „თავადმა“ რაუმანმა, ვინც დიდად არ ჩამორჩა ვარეიკისს, მოსკოვის ოლქში კოლექტივიზაციის პროცესი 3,3-დან 73-მდე აიყვანა.

რეგიონალები ხშირად უბიძგებდნენ მოსკოვს დამღუპველი საგანგებოობის გაძლიერებისკენ. მაგალითად, ქვემო ვოლგის სამხარეო კომიტეტის მდივანმა შებოლდაევმა მოითხოვა კულაკების გასახლების უზრუნველყოფა და წინადადებას აყენებდა **„დაჩქარდეს დოკუმენტების გამოძვეყნება და მუშაკთა გამოგზავნა“. „ვითარება სოფელში, –** ხაზგასმით აღნიშნავდა შებოლდაევი, **– მოითხოვს ამ ზომების ფორსირებას“.**

რეგიონალები მოქმედებდნენ გაცილებით უფრო რადიკალურად, ვიდრე მათგან ამას სტალინი მოითხოვდა, ხშირად ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობასაც უსწრებდნენ. ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დადგენილების – „კულაკური მეურნეობის ლიკვიდაციის ღონისძიებათა შესახებ“ – მიღებამდე სამი დღით ადრე დასავლეთ ციმბირის სამხარეო კომიტეტის პირველმა მდივანმა ეიხემ ნოვოსიბირსკის პარტიულ აქტივზე განაცხადა: **„პირველი, რაც ჩვენ უნდა განვახორციელოთ, ეს არის კულაკობის წარმოების საშუალებათა ექსპროპრიაცია, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის, მისი სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობების ექსტპოპრიაცია“.** ამ დროს მას მხედველობაში ჰქონდა საყოველთაო განკულაკება, თუმცა პოლიტბიუროს მიაჩნდა, რომ უნდა შემოფარგლულიყვნენ მხოლოდ სრული კოლექტივიზაციის რაიონებით. ეიხეს პირველობა უნდოდა ყველაფერში და მას ეს ხშირად გამოსდიოდა კიდეც. შიმშილი დასავლეთ ციმბირში დაიწყო ერთი წლით ადრე, ვიდრე ქვეყნის სხვა რეგიონებში.

„თავადები“ ავლენდნენ ცენტრისთვის სრულ დაუმორჩილებლობას მაშინ, როდესაც იგი ცდილობდა სიტუაციის გამოსწორებას. განსაკუთრებით ნათელი მაგალითია განკულაკების პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებდა შუა ვოლგის მხარეში იქაური პარტიული ბოსი ხატაევიჩი. ცხადია, სამოქალაქო ომის პერიოდზე წუხილით მან მხარეში შექმნა განკულაკების „საბრძოლო შტაბი“. მიიღეს გადაწყვეტილება – ხუთ დღეში დაეპატიმრებინათ 5 ათასი კაცი და გასახლებისთვის მოემზადებინათ 15 ათასი ოჯახი. ისინი წინადადებას აყენებდნენ მიეზიდათ არმიის ნაწილები და (მიაქციეთ ყურადღება!ძ მხარის კომუნისტებისთვის დაერიგებინათ იარაღი. ეს უკანასკნელი უკვე იყო ნაბიჯი სამოქალაქო ომისკენ.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-27.

ათლეტიზმი

# ძალა ერთობაშია



**შარშან თებერვალში საქართველოს ნაკრებმა არასრული შემადგენლობით ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ბორდენთაუნიდან ათლეტიზმში მსოფლიოს თასი ჩამოიტანა. მას შემდეგ ზუსტად წელიწადი გავიდა. ხვალ კი საქართველოს ნაკრები (დელეგაციის ხელმძღვანელი ნიკოლოზ სარალიძე) კვლავ გაემგზავრება ოკეანისგაღმა მსგავს შეჯიბრებაში საასპარეზოდ.** ჩვენებურები ცალკეულ მოძრაობებში მსოფლიოს ჩემპიონატშიც ჩაებმებიან. ბორდენთაუნში წონითი კატეგორიების მიხედვით საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავენ ლევან გილიგაშვილი (75კ, ლევან ციციშვილი (90კ, ზაზა ქურდაძე (90კ, ნიკა ვეფხვაძე (100კ, გელა გელაშვილი (100კ, თემურ ლუტიძე (110კ, ავთანდილ მამალაძე (125კ, რამაზ თარაშვილი (125კ, გერონტი ჯმუხაძე (ზემძიმე, ნიკოლოზ სარალიძე (ზემძიმე, ზურაბ ჭავჭანიძე (ვეტერანებში, ზემძიმე.

— ნაკრებში ხუთი დებიუტანტი გვყავს — გილიგაშვილი, ციციშვილი, ქურდაძე, გელაშვილი და თარაშვილი, — გვითხრა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ჭავჭანიძემ. — თუმცა, ისინი საკმაოდ გამოცდილი სპორტსმენები არიან და ბორდენთაუნში წარმატების იმედი გვაქვს. შარშან თასთან ერთად 12 ოქროს მედალი მოვიპოვეთ. ვეცდებით, წლეულს ნადავლი გავამრავლოთ.



დიდი მადლობა შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელებს, ასევე, რუსთავის მერიის, მცხეთისა და გურჯაანის რაიონების გამგეობათა მესვეურებს, რომლებმაც ათლეტებს ამერიკაში გასამგზავრებლად ხელი გაუმართეს.

**ლექსო ციცაძე**

კალათბურთი

# ტახტი განთავისუფლდა

**მართალია, ჯერ მხოლოდ ევროლიგის მეორე ჯგუფური რაუნდის პირველი წრე დასრულდა, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ წლეულს კონტინენტის ყველაზე პრესტიჟულ საკლუბო ტურნირს ახალი გამარჯვებული ეყოლება. ეს მას შემდეგ გაცხადდა, რაც მოქმედმა გვირგვინოსანმა „პანათინაიკოსმა“ ზედიზედ მესამე მარცხი კატალონიაში „ბარსელონასაგან“ იწვნია — 71:83.**

ვადამდე მოიპოვეს პლეიოფის საგზურები ცსკა-მ და „ოლიმპიაკოსმა“, რომლებმაც, შესაბამისად, სეზონის აღმოჩენას „პროკომს“ და „ციბონას“ მოუგეს — 84:73 და 78:75. მათ ქულათა მაქსიმუმი მოაგროვეს.

არის კიდევ ორი გუნდი, რომელთაც ყველა მატჩი დათმეს და მეოთხედფინალში გასვლის პრაქტიკული შანსები დაკარგეს. ესენი არიან „ჟალგირისი“ და ზემოთ უკვე ნახსენები „ციბონა“.

**გაუწყებთ III ტურის შეხვედრათა შედეგებს:**

**„ა“ ჯგუფი.** „ბარსელონა“ — „პანათინაიკოსი“ 83:71, „მარუსი“ — „პარტიზანი“ 57:49.

„ბარსელონა“, „მარუსი“, „პარტიზანი“ — 2-2, „პანათინაიკოსი“ — 0 მოგება.

**შემდეგი ტური:** „პანათინაიკოსი“ — „ბარსელონა“, „პარტიზანი“ — „მარუსი“ (25 თებერვალი).

**„ბ“ ჯგუფი.** „სიენა“ — „რეალი“ 83:76, „მაკაბი“ — „ეფესი- 76:62.

„მაკაბი“, „სიენა“ — 2-2, „რეალი“, „ეფესი“ — 1-1 მოგება.

**შემდეგი ტური:** „რეალი“ — „სიენა“, „ეფესი“ — „მაკაბი“ (25 თებერვალი).

**„გ“ ჯგუფი.** ცსკა — „პროკომი“ 84:73, „უნიკახა“ — „ჟალგირისი“ 86:68.



ცსკა — 3, „პროკომი“ — 2, „უნიკახა“ — 1, „ჟალგირისი“ — 0 მოგება.

**შემდეგი ტური:** „პროკომი“ — ცსკა (24 თებერვალი), „ჟალგირისი“ — „უნიკახა“ (25 თებერვალი).

**„დ“ ჯგუფი.** „ოლიმპიაკოსი“ — „ციბონა“ 78:75, ტაუგრესი“ — „ხიმკი“ 71:82.

„ოლიმპიაკოსი“ — 3, „ხიმკი“ — 2, „ტაუგრესი“ — 1, „ციბონა“ — 0 მოგება.

**შემდეგი ტური:** „ციბონა“ — „ოლიმპიაკოსი“ (25 თებერვალი), „ხიმკი“ — „ტაუგრესი“ (25 თებერვალი).

ძალოსნობა

# აკი, წავიდაო?

## კასაბიევი პოლონელებს შეეხიზნა

**პეკინის ზაფხულის თამაშების შემდეგ ორი ოლიმპიადის მონაწილე არსენ კასაბიევის გარშემო დიდი აჟიოტაჟი და მითქმა-მოთქმა ატყდა. ბოლოს გულშემატკივრები იმით დაამშვიდეს, რომ კასაბიევი დიდი სპორტიდან წავიდაო. მართლაც, წელიწადნახევარია, მის შესახებ არაფერი გვსმენია. ახლა კი შევიტყვეთ, რომ არსენს პოლონეთის მოქალაქეობა მიუღია და იქაურ კლუბში ვარჯიშობს. პოლონეთის ძალოსნობის ფედერაციამ ქართველი კოლეგები დაანამუსა — წლების განმავლობაში გვერდით ვედექით თქვენს ძალოსნებს, დიდი შეჯიბრებებისთვის მოსამზადებლად ვეხმარებოდით და ახლა არსენ კასაბიევს ჩვენი სახელით გამოსვლაში ხელს ნუ შეუშლითო.**



საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა რამაზ გურგენიძემ განგვიმარტა, რომ კასაბიევი წელიწადნახევარზე მეტია, შეჯიბრებებზე არსად გამოსულა, ამიტომ იურიდიულად ნებისმიერი ქვეყნის სახელით ასპარეზობა შეუძლიაო. ოღონდ, ეს არის, პოლონელებს მის საკომპენსაციოდ იქნებ სპორტული ინვენტარი მაინც დაავტყუოთო.

**გიორგი გაგუა**

უნივერსალი

# სუმოდან — სამთო თხილამურებზე

**როგორც უკვე ვწერდით, რესტორანში ატეხილი ჩხუბის გამო დიდი სპორტიდან წავიდა იმპერატორის თასის 25-გზის მფლობელი, მონგოლი სუმოისტი, იოკორუმა აშორიუ. სუმოს სრულიად იაპონიის ასოციაციის საბჭომ რიგგარეშე სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება სახელოვანი სპორტსმენის დაჯილდოვებაზე უმნიშვნელოვანესი მიღწევებისთვის.**

როგორც პრესა იუწყება, ლაპარაკია 120 მილიონ იენზე (დაახლოებით 1200000 დოლარზე). ამას გარდა დიდი ჩემპიონი მიიღებს კუთვნილ თანხებს საპენსიო ანაზღაურებისთვის და წელთა დამსახურებისთვის. ისე რომ, 29 წლის მონგოლი სპორტსმენის დახმარების საერთო თანხა შეადგენს 2 მილიონ დოლარზე მეტს.

ამ თანხის ნაწილს 25-გზის ჩემპიონი ჩადებს სამთო-სათხილამურო კურორტის განვითარებაში, რაც მისაწვდომი იქნება მონგოლეთის ყველა მოქალაქისთვის.

აღსანიშნავია, რომ ასოშორიუს კომპანიამ ის მთა, სადაც სამთო-სათხილამურო კომპლექსი უნდა მოეწყოს, ამას წინათ იყიდა.

გამოიცა

# კალამიც კარგად უჭრის

**სახელოვან ქართველ დიდოსტატ ნანა ალექსანდრიას სპორტული კარიერის განმავლობაში მრავალი წარმატებისთვის მიუღწევია. იგი ორგზის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონია, მოიგო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი და 20-ზე მეტი საერთაშორისო ტურნირი, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადების ცხრაგზის (3-ჯერ კაპიტნის რანგში) გამარჯვებულმა სამ-სამჯერ საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვა.** ამჟამად ქალბატონი ნანა ვახტანგ ქარსელაძის სახელობის საჭადრაკო სკოლის დირექტორი და საჭადრაკო კლუბ ნტნ-ის პრეზიდენტია. ჭადრაკის უგვირგვინო დედოფალს კალამიც კარგად უჭრის. დასტურად ისიც გამოდგება, რომ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მესამე წიგნი გამოსცა „150 საინტერესო პარტია და ეპიზოდი“, რომელიც საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მხარდაჭერით დაისტამბა. მასში აღწერილია ნანა ალექსანდრიას სპორტული კარიერის ყველა ეტაპი, რომელიც პიონერთა სასახლის საჭადრაკო სექციიდან დაიწყო.




„150 საინტერესო პარტია და ეპიზოდი“, ვფიქრობთ, ერთნაირად საინტერესო იქნება როგორც პროფესიონალი, ისე მოყვარული მოჭადრაკეებისთვის.

ინტერნეტიდან

# ვინ იქნება „წლის სპორტსმენი“?

**როგორც აბუ-დაბიდან იტყობინებიან, ცნობილი გახდა პრესტიჟული პრემიის „წლის სპორტსმენის“ კანდიდატთა ვინაობა. წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ვრცელ სიაში რატომღაც რუსი სპორტსმენები არ აღმოჩნდნენ.**

ძალზე საპატიო წოდებაზე „წლის სპორტსმენი“ პრეტენზიას აცხადებდნენ ამ წოდების ოთხგზის ლაურეატი **როჯერ ფედერერი** (შვეიცარია, ჩოგბურთი), ამ წოდების ახლანდელი მფლობელი **უსეინ ბოლტი** (იამაიკა, მძლეოსნობა), **კენენისა ბეკელე** (ეთიოპია, მძლეოსნობა), **ალბერტო კონტადორი** (ესპანეთი, ველოსპორტი), **ლიონელ მესი** (არგენტინა, ფეხბურთი) და **ვალენტინო როსი** (იტალია, მოტოსპორტი).

საუკეთესო ქალი სპორტსმენი კი „ამომრჩევლებმა“ საიდუმლო კენჭისყრით შემდეგი სიიდან უნდა გამოყონ — **სერენა უილიამსი** (აშშ, ჩოგბურთი), **ლინდსეი ვონი** (აშშ, სამთო თხილამურებით), **სანია რიჩარდსი** (აშშ, მძლეოსნობა), **შელი-ან ფრეიზერი** (იამაიკა, მძლეოსნობა), **ბრიტა შტეფენი** (გერმანია, ცურვა), **ფედერიკო პელეგრინი** (იტალია, ცურვა).

„წლის გუნდის“ წოდებისთვის იბრძოლებენ: **სამხრეთ აფრიკის რაგბის გუნდი**, საფეხბურთო კლუბი **„ბარსელონა“**, **„ნიუ-იორკ იანკიზი“** (MLB), **„ლოს-ანჟელეს ლეიკერსი“** (ნბა), **„ბრაუნი“** („ფორმულა-1“), **გერმანიის ქალთა საფეხბურთო ნაკრები.**



კატეგორიაში „წლის დაბრუნება“ მონაწილეობენ **ლენს არმსტრონგი** (აშშ, ველოსპორტი), **კიმ კლიისტერსი** (ბელგია, ჩოგბურთი), **ტომ უოტსონი** (აშშ, ფოლფი), **ჯესიკა ენისი** (დიდი ბრიტანეთი, შვიდჭიდი), **ბრეტ ფავრი** (აშშ, ამერიკული ფეხბურთი), **ბლანკა ვლასიჩი** (ხორვატეთი, მძლეოსნობა).

„წლის გარღვევაში“ ერთმანეთს დაუპირისპირდნენ: **ჯენსონ ბატონი** (დიდი ბრიტანეთი, „ფორმულა-1“), **ხუან მარტინ დელ პოტრო** (არგენტინა, ჩოგბურთი), მარკ კავენდიში (დიდი ბრიტანეთი, ველოსპორტი), **ტომ დეილი** (დიდი ბრიტანეთი, წყალში ხტომა), **ჩუი იან შენი** (კორეა, გოლფი) და გერმანული **საფეხბურთო კლუბი „ვოლფსბურგი“.**

საზეიმო ცერემონია და პრემიების გადაცემა გაიმართება 10 მარტს.

სანთელი

# ყაყაჩო ისევ სტკივა ტუჩებთან...

## იზა ორჯონიკიძის ხსოვნას



უკანასკნელად 2009 წლის 27 დეკემბერს ვნახე. მძიმე ავადმყოფობის მიუხედავად, კარგად გამოიყურებოდა. გამაოცა მისმა სიმხნევემ, ინტერესმა, ყველაფერი სცოდნოდა, რა ხდებოდა გარეთ – ტელევიზია-პრესის მიღმა. დამავიწყა, რომ ავადმყოფის სანახავად ვიყავი მისული. ჩემი სტუმრობა დაგეგმილი ნახევარი საათის ნაცვლად რამდენიმე საათს გაგრძელდა. დღეს მეჩვენება, რომ ჩვენი შეთანხმების მიუხედავად, (კიდევ უნდა შევხვედროდითძ, მან ზუსტად იცოდა, რომ ნებისმიერი ადამიანის სტუმრობა მისთვის უკანასკნელი იყო. არც მისი უდროოდ წასვლით გამოწვეული გულისტკივილი და არც ის სიტყვები რომლებსაც ახლა მის მიმართ ვიმეტებთ, ბოლომდე ვერ შეაფასებენ იზა ორჯონიკიძის როლს ჩვენს მწერლობაში...

იზა ორჯონიკიძეს იცნობდნენ როგორც პოეტს, ლიტერატურის მუზეუმის დირექტორს, საზოგადო მოღვაწეს, დაუნდობელი, მკაცრი, ემოციური განცხადებების ავტორს. იგი იბრძოდა და იმარჯვებდა. მას ებრძოდნენ და, თითქოს, იმარჯვებდნენ კიდეც... მაგრამ ყოველი მისი პუბლიკაცია, მის მიერ გემოვნებით გამოცემული ქართული ლიტერატურის მარგალიტები, მოყვასისადმი სიმკაცრე და მტრის მიმართ მოულოდნელი სიკეთის გამოჩენა, ყოფილ გამარჯვებულებს მწარე დამარცხების წინაშე აყენებდა.

წლების წინათ მითხრა, არ დაიჯერო, რომ ჩემ შესახებ ვინმეს რაიმე დაეწეროს და შეეფასებინოს ჩემი შემოქმედებაო. არ დაიჯეროო, და მეც არ დავიჯერე, ოღონდ არა მისი სიტყვების სისწორე, არამედ მათი საპირისპირო, რადგან მეგონა, რომ ამ „შეუფასებლობაში“ იგი უფრო მეტს თხოულობდა და არ სჯერდებოდა იმას, რაც ჰქონდა. არადა თურმე სულ სიმართლეს ამბობდა! დაფასება და პოპულარობა ყოველთვის როდი ნიშნავს შეფასებას. იზა ორჯონიკიძის შეფასების პროცესი ახლა იწყება, მისი გარდაცვალების შემდეგ, მისი ხმაურიანი, ბოხოქარი ხმის ჩაჩუმების შემდეგ...

„...ამ წიგნის შედგენისას დრო-ჟამივით მკაცრი არ ვყოფილვარ. არ მოვინდომე ქართულ სიტყვასთან ერთად განვლილი გზის დაგვა-დასუფთავება (არადა შემეძლო!ძ და იმ ნარის გამოხშირვა-გამომარგვლა, რომელსაც დღეს, რა თქმა უნდა, აღარ გავახარებდი...“ წერს იზა ორჯონიკიძე 2008 წელს გამოცემულ ლექსების წიგნის „ჩემი ოდისეას“ წინასიტყვაობაში. ნეტავ რომელი ნარის გამოხშირვა-გამომარგვლაზე მიანიშნებს? ვფიქრობ, რომ არა მხოლოდ ლექსების, არამედ საკუთარი ხასიათის კორექტირებასაც გულისხმობს. თუმცა კორექტირების გარეშეც მინახავს იგი ალელვებული, სხვისი ვალების გადამხდელი, უმეცრების წინააღმდეგ მებრძოლი...

მისი სიცოცხლე თებერვალში შეწყდა. კოლაუ ნადირაძის 25 თებერვლისადმი მიძღვნილი ლექსის შეტანამ ჟერაც საბჭოური საქართველოს მნიშვნელოვან გამოცემაში (რედაქტორი იზა ორჯონიკიძეძ მას გარკვეული დროის მანძილზე უმუშევრობა მოუტანა რეპრესიების შეხსენების ნიშნად. და მაინც იზა ორჯონიკიძე თავისი უდრეკი ბუნების მიუხედავად, პოეტად რჩება და რევოლუციურ სისხლში სხვა ჯგუფის სისხლს წარმოაჩენს: „...ყაყაჩო ისე მტკივა ტუჩებთან, ვით უნებლიედ გაჭრილი თითი...“

მზია ხეთაგური

ხსოვნა

# ზურაბ გეგეჭკორი



კიდევ ერთი სამშობლოსთვის გულანთებული კაცი წავიდა ამ ქვეყნიდან. ქართულმა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა, ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული ეკონომისტი, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ღირსების ორდენისა და მრავალი მედლის კავალერი ზურაბ მიხეილის ძე გეგეჭკორი.

დაიბადა 1941 წელს ოზურგეთში. 1965 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, სახელოვნად განვლო გზა ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედის კოლმეურნეობის რიგითი ეკონომისტიდან საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრობამდე.

იყო საქონლის ხარისხისა და ვაჭრობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი, საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და საქართველოს მინისტრთა საბჭოს განყოფილების გამგე, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე, მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი.

ჩვენს რიგებში აღარ არის ჭეშმარიტი მამულიშვილი, ქვეყნისა და ერის წინაშე ვალმოხდილი, დიდი პატრიოტი, უაღრესად ერუდირებული, პროფესიონალი, სიკეთით სავსე, მაღალი ზნეობრივი თვისებებით შემკული, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე, მეგობრების უსაზღვროდ მოყვარული, ულალატო, სპეტაკი კაცი. ზურაბ გეგეჭკორი თავის ირგვლივ მყოფთა შორის განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. ამავე დროს იგი იყო ჩინებული მეუღლე, მამა და ბაბუა.

ჩვენო საყვარელო ზურაბ, შენი უდროოდ წასვლით შენს მეგობრებსა და ახლობლებს უდიდესი ტკივილი დაგვიტოვე. შენს ნათელ სახელსა და სახეს დავიწყება არ უწერია.

ალალი და მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური ქართული მიწა. ნათელში ამყოფოს ღმერთმა შენი უკვდავი სული!

ნოდარ ჭითანავა, გუჩა დათუნაიშვილი, გივი ჯაფარიძე, ანზორ ბაბუხადია, კახა ქორიძე, დიმიტრი კოტეტიშვილი, ელრად დოლაბერიძე, მიხეილ ჩხენკელი, თამაზ ლეკიშვილი, ანზორ ჩაფიძე, გიორგი კილაძე, იური პიჩკოვი.

ხსოვნა

# ზაურ კაპანაძე

ქართველ მშენებლებს კიდევ ერთი ღვაწლმოსილი, სამაგალითო პროფესიონალი, მეგობარი და მოქალაქე გამოაკლდა ზაურ კაპანაძის სახით.

ქვეყანას, მეგობრებს, კოლეგებს და ოჯახს გამოაკლდა ნამდვილი ქართველი ინტელიგენტი, ჭეშმარიტი პატრიოტი, ავკარგიანი, მუდამ შემართული და ბოხოქარი, ნაღდი მშენებელი კაცი.

ბატონი ზაური თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურებოდა ისეთ რთულ, ამავე დროს საპატიო საქმეს, როგორც მშენებლობაა.



საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ (1963 წ.ძ იგი 1972 წლამდე მუშაობდა ყაზახეთის ურთულეს მშენებლობებზე, ხლო 1972 წლიდან უბრუნდება მშობლიურ ჭიათურას, სადაც მშენებლობის სამინისტროს „ჭიათურმშენის“ №8 ტრესტში ჯერ ბინათმშენებლობის სამმართველოს ხელმძღვანელობს, შემდეგ კი ამ ტრესტის მთავარი ინჟინერია. 1978-1982 წლებში ბატონი ზაური ბათუმის №5 ტრესტის მმართველია.

ზაურ კაპანაძის ინჟინრულმა ნიჭმა, უნარმა და პასუხისმგებლობის გრძნობამ განაპირობა მისი დანიშვნა „საქმეტალურგმშენის“ №1 ტრესტის მმართველად, რაც მშენებლობის მინისტრის მოადგილის რანგის თანაბარი იყო.

1991-2000 წლებში იგი საქართველოში მომხდარი მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის სამშენებლო კომპლექსს თაოსნობს, ხოლო შემდეგ ჰოლდინგური კომპანია „მშენებლის“ პრეზიდენტია.

2000-2005 წლებში ბატონი ზაური მთავარი „არქმშენინსპექციის“ უფროსია.

მის ბოლოდროინდელ სამოღვაწეო ასპარეზს, კვლავ მშენებლობის სფეროში, მიეკუთვნება ყულევის შავი ზღვის ტერმინალის მშენებლობაზე ერთ-ერთი ხელმძღვანელი პოსტი და სააქციო საზოგადოება „თბილისის“ შპს „თბილისი-3“ის დირექტორობა.

დაწყებული მარგანეცისა და მეტალურგიული მრეწველობის ურთულესი ობიექტებიდან დამთავრებული ქალაქ თბილისის მერიის ახალი ულამაზესი შენობით, ზაურ კაპანაძის უშუალო ხელმძღვანელობით განხორციელებულ ობიექტებს ხარისხი, სიმტკიცე და ესთეტიკური მონაცემები არ აკლდა. აკი ყაზახეთის ხელმძღვანელობის დადებითი შეფასებაც ამშვენებს მის სამშენებლო მოღვაწეობის ბიოგრაფიას.

მისი სამართლიანობა, პრინციპულობა და, საჭირო შემთხვევაში, გამოჩენილი სიმკაცრეც არასოდეს არ არღვევდა იმ გულწრფელ, საქმიან და მეგობრულ დამოკიდებულებას, რომელიც ბატონ ზაურს კოლეგებთან ჰქონდა. მისი განუხრელი ყურადღებისა და ზრუნვის საკითხს ყოველთვის წარმოადგენდა მუშის სოციალური პირობები. ამიტომ იყო, რომ იგი დიდი ავტორიტეტითა და ნდობით სარგებლობდა არა მარტო ხელმძღვანელობასთან, არამედ მუშებთან და მექანიზატორებთანაც.

ზაურ კაპანაძის ღვაწლი შეუმჩნეველი არ დარჩენია ჩვენი ქვეყნის ტექნიკურ ინტელიგენციას. იგი არჩეულ იქნა საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად. მინიჭებული ჰქონდა დამსახურებული მშენებლის წოდება. იყო ღირსების ორდენის და ღირსების მედლის კავალერი...

ჩვენ, ზაურ კაპანაძის ახლობლები, მიმდინარე წლის ივლისში ვაპირებდით მისი დაბადებიდან 70 წლისთავის საზეიმოდ აღნიშვნას. ეს კი, რა მოულოდნელი მწუხარება შეგვემთხვა!

ზაურ კაპანაძის ამ ქვეყნიდან წასვლით გამოვთქვამთ უსაზღვრო მწუხარებას და შევთხოვთ უფალს შეიფაროს მისი სული და დაუმკვდროს ნათელი.

საქართველოს მშენებელთა ფედერაცია

უახლოესი მეგობრები ნათელა ყიფიანი, თემურ ფაცურია, დათო გურგენიძე, ჯაბა კუბლაშვილი, არჩილ ჯაფარიძე, ნოდარ ბერიშვილი, გელა ქვლივიძე, რეზო ორაგველიძე, ჯუმბერ გაბუჩია, ილო ლეჟავა, ანზორ საკანდელიძე, ვალერი ლორთქიფანიძე, ჯემალ ჭილაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი, გამორჩეული მეგობარი

ზაურ კაპანაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---

თეიმურაზ და ირაკლი ანდრიაძეები ოჯახებით დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ძვირფასი

ლევან ასათიანი

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

## განცხადება

### კავშირის „თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის კურსდამთავრებულთა ასოციაცია“ წევრთა საერთო კრების მოწვევის შესახებ

2010 წლის 27 თებერვალს, 10 საათზე გაიმართება კავშირის „თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის კურსდამთავრებულთა ასოციაციას“ წევრთა საერთო კრება. კრება გაიმართება მისამართზე: ქ. თბილისი, პავლე ინგოროყვას ქ. №14, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული („თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის“ ოფისიძ. კრებაზე განსახილველ საკითხთა დღის წესრიგით გათვალისწინებულია: 1ძ კავშირის „თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის კურსდამთავრებულთა ასოციაციას“ წესდებაში ცვლილებების შეტანა და 2ძ კავშირის „თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის კურსდამთავრებულთა ასოციაციას“ გამგეობის წევრთა არჩევა.

წევრებს აქვთ შესაძლებლობა კავშირის გამგეობის თავმჯდომარისგან მიიღონ სრული ინფორმაცია დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის წესდებაში შესატანი ცვლილებების პროექტი (რომელიც შეეხება გამგეობის წევრთა რაოდენობის შემცირებას 13-დან 5-მდეძ.

## თბილისის ამბები

### ბაზალეთის ქუჩაზე დაჭრილი ახალგაზრდა გარდაიცვალა

ვაკეში, 24 იანვარს დაჭრილი 18 წლის მოზარდი რაჟდენ დარბაიძე გუშინ დილით გარდაიცვალა.

ის უკვე ორ კვირაზე მეტია მეორე კლინიკურ საავადმყოფოში კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

შემთხვევა ვაკეში, ბაზალეთის ქუჩაზე 24 იანვარს მოხდა. 18 წლის რაჟდენ დარბაიძეს თავის არეში მძიმე ჭრილობა ცეცხლსასროლი იარლით ჰქონდა მიყენებული.

ახალგაზრდის დაჭრა თანატოლებთან შელაპარაკებას მოჰყვა. მის დაჭრაში ეჭვმიტანილი პოლიციამ რამდენიმე დღეში დააკავა.

ХО-ЭОВ-ЭБО

## მეზობლებთან

# მოსკოვში ქართულ ძეგლზე კონკურსი გამოცხადდება

**გაიმართა პირველი სამუშაო თათბირი დიდ სამამულო ომში დაღუპულ ქართველთა ძეგლის შექმნის საკითხით. რუსეთის დედაქალაქში ამ მონუმენტის აღმართვა გადაწყდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელისუფლებამ შარშან, 19 დეკემბერს ქუთაისში ააფეთქა მეომართა დიდების მემორიალი.**

მოსკოვში ძეგლის განახლების წინადადება პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა წამოაყენა. იდეას მაშინვე დაუჭირა მხარი საერთორუსულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ „ქართველთა კავშირი რუსეთში“, რომელიც ქართული დიასპორის 5 ათას წარმომადგენელს აერთიანებს. ორგანიზაციის პრეზიდენტმა მიხეილ ხუბუტიამ თხოვნით მიმართა მოსკოვის მერს – ჩვენს „კავშირს“ მიაბეთ მემორიალის კვლავ შექმნის სამუშაოების სათავეში ჩადგომისა და ჩატარების პატივიო; მიიღო კიდევაც თანხმობა.

ზუსტი განახლება ვერ გამოვა: აფეთქებული მემორიალის არქიტექტორმა მერაბ ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ ახალი ძეგლის მშენებლობაში მონაწილეობის მიღების საშუალებას არ აძლევს ასაკი (ხელოვანი 80 წლისაა), თანაც ადრინდელი მონუმენტის ნახაზები დაკარგულია; ასე რომ, ძეგლი ახალი იქნება. კონკურსს პროექტზე უახლოეს დღეებში გამოაცხადებენ; თუმცა ვინც არ უნდა გაიმარჯვოს, ქართველებს სჯერათ: დიასპორა შეაგროვებს საჭირო სახსრებს და ძეგლი გაკეთდება (იმისი დადგმა პოკლონნაიას გორაზეა გადაწყვეტილი).

– ბედნიერი ვარ, რომ რუსეთის ხელისუფალნი გამოასწორებენ საქართველოს ხელისუფალთა მიერ დაშვებულ უმძიმეს შეცდომას, – აცხადებს მიხეილ ხუბუტია. – ომში დაღუპულ ქართველთა ძეგლი ეთნიკურ ქართველთათვის დიდი თანადგომაა, რაც არ დაგვანებებს ფაშიზმისაკენ სვლას.

**მოამზადა**
**ლუკა გორგაძემ**

## „პილატეს“ ცრემლი

# არაყი ციფრებსა და ფაქტებში



**რუსეთელთა 35 პროცენტს არაყი სხვა ალკოჰოლურ სასმელებს ურჩევნიათ.**

კიტრის მწნილი არყის იდეალური დასაყოლებელია. არაყს გამოაქვს მარილები ორგანიზმიდან. კიტრი და კომბოსტო აწესრიგებენ მარილიან ბალანსს სმის პროცესში.

1885 წლამდე არაყი იყიდებოდა გატანით მხოლოდ 12,3 ლიტრის მოცულობის ვედრით.

8-10 გრადუსი ცელსიუსით – არყის მიწოდების იდეალური ტემპერატურაა. უფრო დაბალი ტემპერატურა ფარავს სასმელის გემოს.

არყის შენახვის ვადა – 1 წელია.

რუსეთელთა 49 პროცენტი აღიარებს, რომ არაყს სვამენ თვეში ერთხელ, 37 პროცენტი – თვეში ორჯერ, 14 პროცენტი – კვირაში ერთხელ.

რუსეთელები არაყს ყველაზე ხშირად ყიდულობენ 46-55 წლის ასაკში.

1 ლიტრი არაყი – სასიკვდილო დოზაა 70 კილოგრამი წონის ადამიანისთვის.

31 იანვარი რუსული არყის დაბადების დღედ ითვლება. ამ დღეს 1865 წელს დიმიტრი მენდელეევმა დაიცვა თავისი საკანდიდატო დისერტაცია „სპირტის შეერთების შესახებ წყალთან“. მიუხედავად იმისა, რომ არყის გამოგონებასთან ამ ნაშრომს არანაირი დამოკიდებულება არ ჰქონია, ბევრი მას მიიჩნევს 40-გრადუსიანი არყის მომზადების საფუძვლად.

კარგად გასუფთავებულ არაყში არ არის კონგენერები – ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებანი, რომლებიც იწვევენ ნაბახუსევობას. მაგრამ მასში არაა არანაირი სასარგებლო ნივთიერება, ანტიოქსიდანტები, რომლებიც ანელებენ სიბერეს და შეუძლიათ გაანადგურონ კიბოს უჯრედები, რომლებიც არის კონიაკში ან ვისკში.

არყის 100 გრამი შეიცავს 235 კილოკალორიას. მშრალ წითელ ღვინოში 76 კილოკალორიაა, ლუდში – 45.



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7129 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3446 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6666 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.6132 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.5300 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1421 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1410 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1276 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5092 ლარი |



## ამინდი დღეს



| | |
|---|---|
| თბილისი. | -1 – +6 |
| ქუთაისი. | +7 – +12 |
| ბათუმი. | +9 – +11 |
| ზუგდიდი. | +7 – +11 |
| თელავი. | +1 – +4 |

## ანეკდოტები

ჩვენთან სახლში ყველაფერს მამა წყვეტს, მაგრამ თუ ვინაა მამა, წყვეტს დედა!

* * *

– მე სიტყვის კაცი ვარ, ვთქვი – არ გავაკეთებ-მეთქი, არც გავაკეთებ!

* * *

– წიგნი უნდა დავწერო.

– რად გინდა?

– წასაკითხი არაფერი მაქვს!

* * *

დღეს ჩემს სარკეში რაღაც საშინელებებს გადმოსცემდნენ!

* * *

– შენ რა, მთვრალი ხარ?

– არა.

– მაშინ გაორებულად რატომ მეჩვენები?



* * *

მაღაზიაში:

– გეთაყვა, შემთხვევით ხომ არა გაქვს სუნამო კომპიუტერის სუნით?

– არა, მაგრამ რად გინდათ?

– მინდა, როგორმე ჩემი ქმრის ყურადღება მივიქციო.

* * *

სასამართლოში.

– მაშ ასე, თქვენ ბრალი გედებათ შარლატანობაში, თქვენს კლიენტებს ატყუებდით, რომ გქონდათ გაახალგაზრდავების ელექსირი. ამისთვის როდისმე იყავით პასუხისგებაში?

– დიახ, 1650, 1730 და 1899 წლებში!

* * *

ჩვენთან სინდისის თავისუფლებაა, გინდა – გექნება, გინდა – არა!

## დღის კალენდარი

## 13 თებერვალი

ყოველი ღირსთა მამათა და დედათა, ღვაწლით გაბრწყინებულთა (გარდამავალია, მოიხსენიება ყველიერის შაბათსძ; კეთილმსახურისა მეფისა თამარისა (1213ძ; სასწაულმოქმედთა უვერცხლოთა მოწამეთა კვიროსისა და იოანესი და მათთანა მოწამეთა: ათანასიასი და ასულთა მისთა ქალწულმოწამეთა: თეოდოტიასი, თეოქტისტასი და ევდოქსიასი (311ძ; კორინთელ მოწამეთა; ბიქტორინესი, ბიქტორისა, ნიკიფორესი, კლავდისა, დიოდორესი, სერაპიონისა და პაპიანესი (251ძ; მოწამისა ტრვიფენა კვიზიკელისა; ნეტარისა ზაქარიასი, იერუსალიმელი პატრიარქისა (632X633ძ; ღირსმოწამისა ილიასი (არდუნეძ კალამატადან (1686ძ; ღირსისა მამისა არსენი პაროსელისა (1877ძ; მოწამეთა სატორნინოსი, თირსიოსისა და ვიქტორისა; წმიდისა იულიოს ხუცისა, ეგინელისა (401ძ; კრება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა კორონიოტირასი (გვირგვინით შემკობილიძ, ანუ დაკრიროურასი (ცრემლმდინარეძ (1867ძ.



ამოდის 07.00
ჩადის 17.31



ამოდის 06.26
ჩადის 17.03

### დაიბადნენ:

**1754 – ტალეირანი,** საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი. გარდაიცვალა 1838 წელს.

**1852 – ნიკო ლომოური,** ხალხოსანი მწერალი. გარდაიცვალა 1915 წელს.

**1873 – ფიოდორ შალიაპინი,** რუსი მომღერალი, რეჟისორი. გარდაიცვალა 1938 წელს.

**1883 – ევგენი ვახტანგოვი**, რუსეთელი რეჟისორი, მსახიობი. გარდაიცვალა 1922 წელს.

**1903 – ჟორჟ სიმენონი,** დეტექტიური რომანების ცნობილი ავტორი. გარდაიცვალა 1989 წელს.

**1903 – გიორგი ბერიაშვილი-ბერიევი,** ავიაკონსტრუქტორი. გარდაიცვალა 1979 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1571 – ბენვენუტო ჩელინი,** დიდი იტალიელი მოქანდაკე და ოქრომჭედელი. განსაკუთრებით ცნობილია მისი ავტობიოგრაფიული წიგნი „ბენვენუტო ჩელინის ცხოვრება მის მიერვე დაწერილი“.

**1883 – რიხარდ ვაგნერი,** გერმანელი კომპოზიტორი.

### მოვლენები:

**1895** – ლუი და ავგუსტ ლიუმიერებმა შექმნეს პირველი კინოაპარატი.

**1975** – კიპროსი ორ ნაწილად გაიყო. ჩრდილოეთ კიპროსი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ – კიპროსის თურქულ რესპუბლიკად გამოცხადდა.

**ღირსსახსოვარი დღე:**

**მარიანის კუნძულები** – პრეზიდენტის დღე.

**მედიანიუსი**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.